ახალი განათლება

9 - 15 თებერვალი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№4 (758) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

პრესკონფერენცია აქტუალურ საკითხებზე

მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან

გვერდი 7

✓ 19 ქულა სავალდებულო მოთხოვნაა და მის გარეშე უფროსი მასწავლებლის საფეხურზე გადასვლა შეუძლებელია. აქამდე ამ 19 ქულის შეგროვების მეთოდი იყო ერთი, ახლა არის სამი. სავალდებულო ქულების დაგროვების გზა საკმაოდ რთულია. უბრალოდ, გაჩნდა ალტერნატიული გზები, რომლებიც შრომატევადია.

✓ იყო ბევრი მასწავლებელი, რომელსაც გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა და ითხოვდა ტრენინგის გავლას, მაგრამ ამ ტრენინგებს ატარებდა მხოლოდ მასწავლებლის სახლი და მას კონკრეტული მოცულობა ჰქონდა, რომლის იქით ვერ ატრენინგებდა. რას ვცვლით ამ მიმართულებით? მასწავლებლის სახლის გარდა, ტრენინგებს სხვა ორგანიზაციებიც ჩაატარებენ. წამყვანი სკოლების ერთ-ერთი დატვირთვა სწორედ ეს იქნება – შეეძლებათ ტრენინგში ჩართვა.

✓ ბოლო წლებში, სხვადასხვა მიზეზით, ათობით სკოლისთვის გვაძვს გაუქმებული ავტორიზაცია და არც ერთი ბავშვის სწავლის შედეგი არ დაზარალებულა. ჩვენ, პირველ რიგში, ვალდებული ვართ, მოსწავლის ინტერესიდან გამოვიდეთ და ამიტომ, არა მარტო შაჰინის სკოლას, არამედ ყველა სკოლას, ვისაც ავტორიზაცია ეკარგება, გადანაწილებას ვთავაზობთ.

✓ აბსოლუტურად ყველა სკოლა დაიხურება, ქართველმოსწავლეებიანი, თურქმოსწავლეებიანი, უკრაინელ და ყველა სხვა ეროვნების მოსწავლეებიანი, რომელიც კანონთან არ იქნება შესაბამისობაში. პოლიტიკური მიზეზი, რომელზეც აპელირებენ, უსაფუძვლოა, ასეთი მიზეზი არ არსებობს.

✓ გვინდა გრიფირება ყოველწლიურად გამოვაცხადოთ და არა ექვსი წლის ინტერვალით (ვიღაც მომავალ წელს შემოვა კარგი სახელმძღვანელოთი, მერე – კიდევ სხვა და ა.შ.). მართალია, ამით ხარჯი ცოტა გაგვეზრდება, იმიტომ რომ, მარაგებით გეჭდვა ნაკლებად მოხდება, სამაგიეროდ, ხარისხი გაგვეზრდება რადიკალურად. მარაგებით გეჭდვა ისედაც პრობლემაა, მეცნიერებებში ისეთ ტემპში იცვლება ყველაფერი, რომ შარშანწინდელი სახელმძღვანელო მაინც მოძველებულია.

✓ 20-ზე მეტი გამომცემლობა, ვინც ჩვენს შეხვედრებს ესწრება, აპირებს მონაწილეობას (ზოგი ბევრ სახელმძღვანელოს მოამზადებს, ზოგი – ნაკლებს). ვაპირებთ სამი საუკეთესო სახელმძღვანელო ავარჩიოთ თითო კატეგორიაში, სადაც არჩევანი იქნება. მინისტრს აქვს დისკრეციის უფლება, რომელსაც იმ შემთხვევაში გამოვიყენებ, თუ ვნახეთ, რომ დავრჩით უსახელმძღვანელოდ.

პროფესიული განათლება

მოდულური სწავლება – მოქნილი მეთოდი გარანტირებული დასაქმებისთვის

გვერდი 2

პროფესიული განვითარება

კრედიტქულებში ასახული „თავისუფალი გაკვეთილები“

გვერდი 3

უმაღლესი განათლება

ბოლონიის პროცესი საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები

გვერდი 4

გამოფენა

მხატვრობა – ჭეშმარიტი, თვითმყოფადი, ერთდროულად ეროვნული და თანამედროვე

გვერდი 6

წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო მიკუთვნილია უფასო სამნის მასწავლებლისთვის



პროფესიული უნარების სახელმძღვანელო დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი – 15 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა

ПРОФЕСИУЛИ ГАНАТЛЕБА

მოდულური სწავლება
მოქნილი მეთოდი გარანტირებული დასაქმებისთვის

ანა ფირცხალაიშვილი

90-იანი წლების შემდეგ, პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები არ აღმოჩნდა ისეთი ეფექტური, რომ ქვეყნის წინაშე მდგომ გამოწვევებს პასუხობდეს, მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში, მთავრობის მეთაურების დონეზე, არაერთხელ იყო მოთხოვნა განათლების ამ სეგმენტის ფუნდამენტური და გადაუდებელი რეფორმირების აუცილებლობაზე.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში პროფესიულად შეფასდა განვლილი პერიოდი და ავტორმა (**ვარლამ ავალიშვილმა**) თავისი მოსაზრებებიც მკაფიოდ ჩამოაყალიბა დარგის „ჰარმონიული და შედეგზე ორიენტირებული განვითარებისათვის“. სასურველია და რედაქცია მიესალმება, თუ პროფესიონალები გამოეხმაურებიან და პრობლემების მოგვარების საკუთარ ხედვებსა თუ წინადადებებს შემოგვთავაზებენ.

ამჯერად რეფორმის მხოლოდ ერთი ნაწილის, მოდულური სწავლების შესახებ გიამბობთ, რომელიც მხოლოდ რამდენიმე თვის წინ დაინერგა რიგ სასწავლებლებში.

სწავლების ამ მეთოდს მომხრეები და მოწინააღმდეგეები თავიდანვე ჰყავდა. ახლა, მოდულური პროგრამების ძირითად ნაკლად ქართული სინამდვილის გაუთვალისწინებლობას ასახელებენ. საჭირო იქნება თუ არა ამ შენიშვნის/ნაკლის გათვალისწინება დანერგვის მიმდინარეობისას, გზადაგზა გამოჩნდება. 2015-2016 წლებში ავტორიზებულია 59 დასახელების 216 მოდულური პროგრამა. სწავლა ოქტომბრიდან დაიწყო და, ბუნებრივია, ოთხი თვე ცოტა დროა რაიმე დასკვნის გასაკეთებლად, მაგრამ რამდენიმე კოლეჯში მაინც შევეცადეთ პედაგოგებისა და სტუდენტების აზრი გაგვეგო. ერთ-ერთი მათგანი დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის ახალდაარსებული საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯია (დირექტორი – **მარიამ ტვილდიანი**), სადაც მაღალი კვალიფიკაციის ექთნები უნდა მოამზადონ. ამ მხრივ ქვეყანაში მართლაც სერიოზული დეფიციტია. ამიტომ ეს წარმოწყება, მით უმეტეს მოდულური სწავლების მეთოდით, ნამდვილად მნიშვნელოვანი საქმეა. ოქტომბერში, ტესტირების შედეგად, 60 ადამიანი ჩაირიცხა კოლეჯში, აქედან II მოდულზე სწავლა მხოლოდ 43-მა გააგრძელა. 1 სემესტრის მანძილზე მათ 9 მოდული აქვთ გავლილი: კომუნიკაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები, უცხო ენა (ინგლისური), სამედიცინო ტერმინოლოგია და სამედიცინო დოკუმენტაცია საექთნო საქმეში, რაოდენობრივი წიგნიერება, მეწარმეობა, გაცნობითი პრაქტიკა, პაციენტის ფიზიკური შეფასება, ასევე კოლეჯმა სესიის სახით დამატებითი მოდულები გაატარა სტუდენტებს, ესენია: ანატომია, დოზირება, ფიზიოლოგია. რაც შეეხება მოდულს მეწარმეობა, სწორედ მის შესახებ ამბობენ აქ, რომ ქვეყნის დღევანდელი სინამდვილიდან გამომდინარე, მისი შესწავლა არაპრაქტიკულია. ევროპული ქვეყნების შემთხვევაში ეს გამართლებულია, რადგან იქ სტანდარტი იმდენად მაღალია, რომ კოლეჯდამთავრებულები საკუთარ სსიპ-ებსაც კი ქმნიან. სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი (დეკანი) **თამარ ფანცულაია** ამბობს: *„მოდულური სწავლების მთავარი დადებითი მხარე ისაა, რომ საგნობრივი სწავლება არ არის უპირატესი. სტუდენტს ყოველდღიური შეხება აქვს არჩეულ პროფესიასთან, რაც შეეხება შინაარსს, ბევრი თემა კარგადაა მონოდებული, მაგრამ, ვფიქრობ, მეტად უნდა იყოს მორგებული ქართულ რეალობას. ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და განათლების ხარისხი ბევრად განსხვავდება ევროპულისგან. ეს რომ იყოს გათვალისწინებული, მაშინ იდეალური იქნებოდა. ხომ უფრო ლოგიკურია ანატომიის სწავლება ყოფილიყო, მეწარმეობის ნაცვლად. სესიის სახით ჩვენ ეს მოდული მაინც დავამატეთ და ძალიან სერიოზულადაც გავდივართ“.*

ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტს საექთნო კოლეჯის გახსნა კორპორაცია „ევექსმა“ შესთავაზა, რომელიც 46 კლინიკის მფლობელია საქართველოში. სასწავლო კურსი, ძირითადად, ამ კლინიკების თანამშრომლებს, მედდა ტრენერებს მიჰყავთ. ლექციებს კითხულობს 4 საოპერაციო მედდა და 1 მთავარი მედდა, რომელთაც კვირაში ერთხელ საკუთარ კლინიკაში მიჰყავთ სტუდენტები პრაქტიკის გასავლელად, ახლახან ტრეპანაციას დაესწრნენ იაშვილის კლინიკაში. მალე 2 სტუდენტი ბათუმში გაემგზავრება და რეფერალურ საავადმყოფოში ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას დაესწრება. ბათუმის გარდა, კოლეჯს 3 რეფერალურ კლინიკასთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული და რაც მთავარია და რამაც უნდა უზრუნველყოს პროგრამის წარმატება ისაა, რომ „ევექსსა“ და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კურსდამთავრებულები, 3 წლის განმავლობაში, „ევექსის“ კლინიკებში დასაქმდებიან. თავისი ინტერესი მაღალკვალიფიციური ექთნების მომზადებისადმი კორპორაციამ იმითაც გამოხატა, რომ 43-დან 20 საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტს თავად აფინანსებს, რაც კარგი მოტივაციაა მათთვის, ვინც მომავალში აირჩევს ამ პროფესიას.

მარიამ ტვილდიანი: *„ტვილდიანის უნივერსიტეტში ძალიან სერიოზული სწავლებაა. მისი კურსდამთავრებულები წარმატებული ექიმები არიან სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში. გვინდა, ჩვენი კოლეჯიც ასეთივე პრესტიჟული და მიმზიდველი გახდეს, ზუსტად უზრუნველვყოთ ის, რაც მოდულური სწავლების ხიბლია. ჩვენი პედაგოგები ამას ახერხებენ. გარდა იმისა, რომ ყველა მოდულს შესაბამისი ლიტერატურა აქვს მითითებული, მასწავლებლები კიდევ უფრო ამრავალფეროვნებენ და თვალსაჩინოს ხდიან თითოეულ თემას, თავად შეუძლიათ ვიდეომასალის მოტანა და ჩვენება სტუდენტებისთვის, ამ მხრივ არავინაა შეზღუდული. ჩვენც გვაქვს სიმულაციის ოთახში თვალსაჩინოება, სადაც ჯერ სპეციალიზაცია არ დაწყებულა, მაგრამ პაციენტის ფიზიკური შეფასების დონეზე ყველანაირი მანიპულაციის გავლა შეიძლება.*

იმედი მაქვს, პირველი სასწავლო წელი წარმატებული იქნება და შემდეგ უფრო დეტალურადაც შემეძლება საუბარი.“

მოგეხსენებათ, კოლეჯში სწავლის მსურველისთვის ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს. ჩვენც ამ პრინციპით შევარჩიეთ რესპონდენტები.

მადონა ჩარკვიანი-მოწონელიძე: *„მედიცინა ყოველთვის მაინტერესებდა, მაგრამ რატომ ჩავაბარე დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე, დღესაც არ ვიცი. ახლა დიდი შვილები მყავს, თავისი ცხოვრება აქვთ. კოლეჯის შესახებ შემთხვევით გავიგე და არც ერთი ღია კარის დღე არ გამომიტოვებია. სწავლას დიდი მონდომებით შევუდექი. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმან, რასაც აქ ვხედავ. ანატომია, ფიზიოლოგია, ნამდვილი პროფესიონალი, პრაქტიკოსი პედაგოგები, რომლებიც ეფექტური კომუნიკაციიდან დაწყებული ჩვენი მომავალი პროფესიის ყველა ნიუანსს გვასწავლიან. არაჩვეულებრივი შანსი მომცა „ევექსმა“, აუცილებლად ვიმუშავებ. ეს ჩემი ოცნება იყო და კარგია, რომ მეუღლე და შვილებიც მხარს მიჭერენ. იმედია, ჩემი ფრანგულიც გამომადგება.“*

გიორგი მეგრელიძე კვებისა და მაცივრების საწარმოო მოწყობილობების ინჟინერია, სწავლობდა სამედიცინო ტექნიკუმში, რომელიც, რაღაც მიზეზების გამო, დაიხურა და 28 წლის ასაკში ისევ გახდა საექთნო კოლეჯის სტუდენტი. *„ჩემი საქმე ეს არის, მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ საუკეთესო ვიყო. ამისათვის აქ ყველა პირობაა – მოწესრიგებული შენობა, კარგი პედაგოგები, მკაცრი შინაგანაწესი, 10-დან 5 საათამდე ვსწავლობთ, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული სისტემა, ლექციების გარდა მულაჟებზე ვმუშაობთ, სიმულაციის ოთახში ერთმანეთს ვსინჯავთ, საინტერესოა როლური თამაშები... მარტო მე კი არა, ვინც დავრჩით, ყველას დიდი სიყვარული გვაქვს ჩვენი პროფესიისადმი, კარგად ვსწავლობთ და კარგი ექთნებიც ვიქნებით.“*

ორივენი „ევექსის“ გრანტის მფლობელები არიან. გიორგის გარდა კიდევ 4 ვაჟი სწავლობს კოლეჯში, დანარჩენი ქალები არიან. ზოგს ბიზნესის აკადემია აქვს დამთავრებული, ზოგი ფილოლოგია, სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულიც ჰყავთ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მათი ნამდვილი ინტერესი სულ სხვა სფეროა და ახლა ისინი აქ ეუფლებიან მედდის და მედდმის პროფესიას. მომავალში კი, როგორც გაირკვა, ზოგს კარდიოლოგიურში სურს მუშაობა, ზოგს – ქირურგიაში... არჩევანი აქ მართლაც დიდია, მაღალკვალიფიციური ექთანი ყველა სფეროში ერთნაირად საჭიროა.

ასეთივე დიდი მოთხოვნაა ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე პროფესიაზე, რომელსაც აიტი ტექნოლოგიები ჰქვია და რომელსაც სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (დირექტორი – **მამუკა ჯანჯალია**) ამზადებს. 2015 წლის საშემოდგომო მიღებაზე აქ 3 მოდულურ პროგრამაზე დაიწყეს სწავლა, ხოლო საგაზაფხულო მიღებაზე კიდევ 3 დაემატა. სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი და 3 თვიდან 2 წელსა და 8 თვემდე გრძელდება, სხვადასხვა პროგრამას სხვადასხვა დრო აქვს. დღეისათვის 350 სტუდენტის სწავლას 40 პედაგოგი ემსახურება, ისინი ამ სფეროს გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები არიან. *„აიტი სფეროში სულ სიახლეა, თავად უნდა იყო ჩართული, რომ ფეხი აუწყო და ასწავლო ის, რაც დღეს არის აქტუალური და ისიც, რაც ხვალ იქნება. ამიტომ ჩვენი პროფესიული მასწავლებლები ამ სფეროს საუკეთესო წარმომადგენლები არიან“* – გვითხრა ბატონმა მამუკამ.

მოდულური სწავლების უპირატესობაზე საუბრისას ბატონი მამუკა, პირველ რიგში, ხაზს უსვამს იმას, რომ თეორია და პრაქტიკა ერთდროულად, შერწყმულად ისწავლება და მეორე – ექვსივე მოდულური პროგრამა (ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა, ვებინტერფეისის დეველოპერი, საგამომცემლო საქმის ტექნოლოგიური დიზაინერი, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, ვებინტერფეისის დიზაინერი, სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი – გენერალისტი) ერთნაირად თანამედროვე და მოთხოვნადია. თითოეულ მოდულს 3, 4, 5 შედეგის დადასტურება აქვს (შუალედური გამოცდებით) და თუ ბოლომდე გაიარა სტუდენტმა, შესაბამისი კვალიფიკაცია ეძლევა, მაგრამ თუ მისი (სტუდენტის ან ნებისმიერი უკვე დასაქმებული ადამიანის) სურვილია, რომ მაგალითად, ვებდიზაინერის მოდულში მხოლოდ ფოტოშოპი შეისწავლოს, რაც დამსაქმებლისთვის მისაღებია, მას ამის საშუალება აქვს კოლეჯში და დასაქმების გარანტიაც. როგორც ბატონი მამუკა ამბობს, შვიდმა კურსდამთავრებულმა უკვე საკუთარი კომპანია დააარსა, რამდენიმე ჯანდაცვის სამინისტროსა და იუსტიციის სახლში დასაქმდა, 6 კერძო კოლეჯების ასოციაციამ დაასაქმა, ასევე მუშაობენ პროფკავშირის გაერთიანებაში და სხვ.

კოლეჯი მომავალში არაქართულენოვანი თანამოქალაქეების მოზიდვასაც გეგმავს. მსურველებს, პირველ რიგში, სახელმწიფო ენის შესწავლის 15-30-კრედიტიან პროგრამას შესთავაზებენ (ენის ცოდნის შესაბამისად), შემდეგ კი ავტომატურად გააგრძელებენ სწავლას იმ პროგრამაზე, რომელზეც ჩაირიცხნენ.

ასევე სამომავლო გეგმაა და ძალიან სერიოზული, რეგიონებში ფილიალების გახსნა, რაც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას ითვალისწინებს, მათ შორის მთავარი, ადგილობრივ დამსაქმებლებთან მოლაპარაკება და შეთანხმებაა. ისინი, რბილად რომ ვთქვათ, დიდ დაინტერესებას არ იჩენენ ამ სახის განათლების დასაფინანსებლად, არადა მცირეხნიანი გამოცდილებითაც კი ნათელია, სწავლების ამ მეთოდის მოქნილობა გარანტირებული დასაქმებისა და ბიზნესის მაღალკვალფიციური კადრებით უზრუნველყოფისთვის.

შედარებით სპეციფიკური ჩანს მოდულური სწავლება ფიზაღზრდისა და სპორტის სახელ-

პროფესიული განათლება

მწიფო საზოგადოებრივ კოლეჯში (დირექტორი – **თეიმურაზ ლორთქიფანიძე**, ეკონომისტი, პროფესორი, სპორტის ოსტატი, ვეტერანი წყალბურთელი). იგი ერთ-ერთი პირველი ტექნიკუმია ქვეყანაში (1933წ.), მხოლოდ 5 წლის შემდეგ დაარსდა ფიზკულტურის ინსტიტუტი. 5-წლიანი პაუზის შემდეგ კოლეჯმა, 2014 წელს, განაახლა ფუნქციონირება და სხვადასხვა პროგრამებზე 179 სტუდენტი მიიღო, მათგან, 150-მა დაამთავრა სასწავლებელი, რომელთაგან ნაწილი დასაქმდა, ნაწილმა სწავლა გააგრძელა, რამდენიმემ კაბინეტიც გახსნა. ესენი, ძირითადად, III საფეხურის კურსდამთავრებული მასაჟისტები, ჟურნალისტები და სამთო-გამყოლები არიან, რომლებიც დასაქმდნენ ტურისტულ ორგანიზაციებში, რამდენიმემ საკუთარი ფირმაც გახსნა. დირექტორი ამბობს, რომ მოდულური სწავლება, მაგალითად, მწვრთნელის პროფესიაზე, მიუღებელია, მაგრამ მასაჟზე დასაშვებია, რადგან პროგრამის დაშლა შესაძლებელია რამდენიმე მოდულად – სპორტული მასაჟი, გამაჯანსაღებელი, წერტილოვანი... ასევეა სპორტული ჟურნალისტის შემთხვევაში, სადაც ამზადებენ ონლაინ გამოცემათა და ბეჭდური სიტყვის სპეციალისტებს, V საფეხურზე, 2- წელინადნახევარია სწავლა, ხოლო III-ზე – 1 წელი, შეუძლია ერთ-ერთი მოდული აირჩიოს.

მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი, არა მარტო წარსული ტრადიციებით, არამედ ამ ბოლო წლების მაჩვენებლებითაც, ერთ-ერთი საუკეთესოა (5 სტუდენტი რიოს ოლიმპიადის მონაწილე და ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მფლობელია, რამდენიმე საქართველოს ნაკრების წევრი წარმატებული ახალგაზრდა ახლაც სწავლობს კოლეჯში), ბატონი თეიმურაზი ამბობს, რომ ზოგ საკითხში სახელმწიფოს მიდგომა მათი კურსდამთავრებულებისადმი უსამართლოა. *„თქვენ იცით, სპორტის მასწავლებლების როგორი დეფიციტია ჩვენს სკოლებში. ვგულისხმობ პროფესიონალ მასწავლებლებს. მათ დიდ ნაწილს სპეციალური განათლებაც არ აქვს. ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებულ მწვრთნელებს კი თავისუფლად შეუძლიათ მათი ჩანაცვლება. იმის გამო, რომ მასწავლებლის პროფესია რეგულირებადია და მწვრთნელის – არა, მათ პედაგოგებად არ მიიჩნევენ და შესაბამისად, სკოლაში მუშაობის უფლებასაც არ აძლევენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სწავლის პერიოდში პედაგოგიკის კურსსაც გადიან და ბავშვთა ფსიქოლოგიასაც. სხვანაირად არც შეიძლება. ჩვენ დავაყენეთ საკითხი ასე – მწვრთნელი, ამავე დროს, პედაგოგიცაა და უნდა შევიდეს ეს პროფესია რეგულირებად პროფესიათა რიცხვში ან პროგრამაგავლილებს, რომლებსაც 120 კრედიტი უკვე აქვთ კოლეჯის დამთავრებისას, მიეცეთ 60-კრედიტიანი კურსის გავლის უფლება, რამაც უნდა დაადასტუროს მათი, როგორც პედაგოგის, კომპეტენცია. გარდა ამისა, ვფიქრობ სკოლაში უნდა იყოს არა სპორტის, არამედ ფიზაღზრდის მასწავლებელი, რომელიც სელექციის გზით გაანაწილებს მოსწავლეებს (მათი ნიჭისა და მიდრეკილების მიხედვით) სხვადასხვა სექციებში“.*

კოლეჯს უნივერსიტეტის III სართული აქვს დათმობილი, სულ 850 კვ.მ. ფართობი, სადაც განთავსებულია აუდიტორიები, ლაბორატორიები, მასაჟისა და ანატომიის კაბინეტები, კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა, მცირე დარბაზი ტანმოვარჯიშეებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მოწესრიგებულია და არც აუცილებელი აღჭურვილობა აკლიათ, კოლეჯი, მთლიანობაში, თანამედროვე სტანდარტებისაგან ჯერ კიდევ შორსაა. დირექტორმაც აღნიშნა, რომ სახელდახელოდ გაკეთდა ის, რაც არის, უახლოეს თვეებში კი სტუდენტები უფრო კეთილმოწყობილ და თანამედროვე გარემოში ისწავლიან.

რაც შეეხება ზოგად შთაბეჭდილებას, სამივე კოლეჯის ხელმძღვანელებისა თუ სტუდენტების დამოკიდებულება მოდულური სწავლების მიმართ, თითქმის, ერთნაირია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ „მეწარმეობა“ ყველასათვის ერთნაირად მისაღები არაა. ალბათ, საჭირო იქნება, კოლეჯების სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვროს სად რომელი პროგრამის გავლაა უფრო მიზანშეწონილი.

პროფესიული განვითარება

კრედიტქულებში ასახული „თავისუფალი გაკვეთილები“

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივა თავისუფალი გაკვეთილების შესახებ სულ მალე განხორციელების ფაზაში შევა და როგორც სკოლა, ისე მასწავლებელი ყოველი ჩატარებული საათის საზღაურს მიიღებს. როგორც ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა, გარდა იმისა, რომ „თავისუფალი გაკვეთილის“ პროექტები სკოლასა და მასწავლებელს ფინანსურ სარგებელს მოუტანს, ბავშვებს სკოლას შეაყვარებს და მასწავლებლები თავისუფალ რეჟიმში სწავლებას გამოცდიან. *„მასწავლებლები მოსინჯავენ, როგორია თავისუფალი ფორმატი და დარწმუნებული ვარ აღმოაჩენენ, რომ გარეგნული წესებიდან გადახვევა სულაც არ არის საზიანო.“*

ალექსანდრე ჯეჯელავას განმარტებით: *„თავისუფალი გაკვეთილის მოდელი ასე გამოიყურება – ერთი საათი თავისუფალი გაკვეთილის, მათ შორის სპორტის, გულისხმობს 8 ლარს – ადმინისტრაციაში მიმავალს, 8 ლარს – პედაგოგთან და 8 ლარს – ინვენტარში, ანუ თუ სკოლა 40 საათს ატარებს, შესაბამისად, 320 ლარი ინვენტარისთვის ექნება, 320 ლარი – მასწავლებლისთვის და 320 – ადმინისტრაციისთვის, რადგან აქ ადმინიტრაციის მოტივაციაც ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ადმინისტრაციას არ უნდა, შეიძლება დაკეტონ სკოლა გარკვეულ საათებში და არ შეუწყონ ხელი. ეს სამი კომპონენტი უნდა იყოს სინქრონულად – საჭიროა ინვენტარი, მასწავლებლის მოტივაცია, რომ დამატებითი საათები ჩაატაროს და სკოლის მატერიალური მოტივაცია, რომ ხელი შეუწყოს თავისუფალი გაკვეთილის ჩატარებას. რაც შეეხება მოსწავლის მოტივაციას, ეს მასწავლებელმა უნდა შექმნას – თუ ვერ დააინტერესე, ისე არ ტარდება.*

თავისუფალი გაკვეთილები ასე განაწილდება: ორი საათი – ჯანსაღი ცხოვრება, ერთი საათი – წიგნიერება, ანუ წიგნის კითხვის შეყვარების გაკვეთილი, თავისუფალი გაკვეთილის ფორმატში, ერთი საათი – ინტელექტუალური აქტივობა და ერთი საათი დაეთმობა ხელოვნებას, სულ საუბარია კვირაში ხუთ დამატებით საათზე.

როგორც გითხარით, ორი საათი ჯანსაღი ცხოვრების წესს ეთმობა და სულაც არ არის აუცილებელი ეს მხოლოდ სპორტი იყოს, შეიძლება გაკვეთილი კვებას მიეძღვნას ან გასეირნებას და ა.შ. ხელოვნების საათებში, შევეცდებით, მასობრივი სფეროები შემოვიტანოთ, ინტელექტუალურ აქტივობაში სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეჯიბრები იგულისხმება და რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ. წიგნიერებაზე კი უშუალოდ გამომცემლობებთან ვიმუშავებთ. გვინდა, ყველა სკოლაში იყოს პროგრამა, რომელიც აქტივობაზე იქნება დაფუძნებული. წიგნების შეძენას დავაფინანსებთ, მაგრამ ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს აქტივობა – კითხვა, განხილვა და ა.შ.

ხარისხის შემოწმების მთავარი ინსტრუმენტი, მონიტორინგის და ტრადიციული მეთოდების გარდა, იქნება საჯარო გამოხმაურებებში მონაწილეობა, რასაც ავტომატურად აწერს ხელს ის, ვინც ამ პროცესში ერთვება. საიტი ერთ-ორ კვირაში მზად იქნება. ყველა თავისუფალი გაკვეთილი იქნება შეფასებადი მშობლებისთვის და ეს შეფასებები – საჯარო. მაგალითად, ნაბეღლავის სკოლაში თუ არ მოეწონებათ წიგნიერების გაკვეთილი მშობლებს და მოსწავლეებს, შეეძლებათ დაბალი და ნეგატიური შეფასებები დაუწერონ. ჩვენი მონიტორინგი ამ შეფასებებით იხელმძღვანელებს. დაახლოებით, წარმოიდგინეთ ფეისბუქის სტილის საიტი. თავიდან შეიძლება შეშინებულები იყვნენ და არ დაწერონ ობიექტური შეფასებები, მაგრამ მერწმუნეთ, ჯერ ერთი ამოიღებს ხმას, მერე – ხუთი, მერე – შვიდი...

დავიწყეთ ასევე მშობლებთან შეხვედრები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ნებისმიერი სკოლის მოსწავლის მშობელს, საშუალება ეძლევა, მოვიდეს სამინისტროში და თუ რამე აწუხებს, ღიად გვითხრას ამის შესახებ. პირველი შეხვედრები ძალიან ფრთხილი იყო, ნელ-ნელა ეს სიფრთხილე მოიხსნა და, პრაქტიკულად, ყველა შემთხვევაზე ვრეაგირებთ.“

რაც შეეეხება თავისუფალი გაკვეთილების დაფინანსებას, მინისტრმა განაცხადა, რომ მომავალში აპირებს საათობრივი ანაზღაურება გაზარდოს *„როგორც ჩანს სწორად ვერ გავთვალე, როცა ვამბობდი, რომ მეტს გადავუხდი, ვიდრე ჩვეულებრივ გაკვეთილებში. მაგარი მასწავლებელი ჩვეულებრივ გაკვეთილში 6.75-ს იღებს და მე ვაპირებდი, თავისუფალ გაკვეთილში 25 ლარი გადამეხადა, ეს სერიოზულ უკმაყოფილებას გამოიწვევდა და სამართლიანადაც. ამიტომაც განისაზღვრა, ამ ეტაპზე, თითო გაკვეთილი 8 ლარით.“*

თავისუფალი გაკვეთილები „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ სახეცვლილ სქემაში დამატებითი აქტივობების ნუსხაში შევიდა, რომელიც მასწავლებელს კრედიტქულის მოპოვების საშუალებას მისცემს. როგორ განახორციელონ სკოლებმა – მასწავლებლებმა თავისუფალი გაკვეთილები, რა კრიტერიუმებით შეარჩევს სამინისტრო და როგორ დაუფასდებათ ახალი ფორმატის გაკვეთილების ჩატარება – ამის შესახებ გვესაუბრება პროექტის „თავისუფალი გაკვეთილები“ მენეჯერი **ლალი კალანდაძე:**

– რას ნიშნავს ახალი ტიპის გაკვეთილები და როგორ განახორციელონ ისინი სკოლებმა?

– თავისუფალი გაკვეთილი ეს არის გაკვეთილის ახალი ფორმატი – ნიშნის, შეფასების, დავალებებისა და გამოკითხვების გარეშე, რომელიც მოსწავლეებს, გაკვეთილების შემდეგ, სურვილის მიხედვით, ჩაუტარდებათ. წელს სატესტო რეჟიმით ვიწყებთ და, პირველ რიგში, გადავწყვიტეთ, პროექტი VII-VIII-კლასებში განვახორციელოთ.

სკოლა წარმოადგენს თავისუფალი გაკვეთილის პროექტს, რომელშიც, თავისთავად, აუცილებლად ჩართული იქნება პედაგოგი – მითითებული იქნება, ინდივიდუალურად, რომელი მასწავლებელი განახორციელებს აქტივობას. ამ გაკვეთილების მიზანი, გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს ახალი ტიპის გაკვეთილები შევთავაზოთ, სკოლის გაძლიერებაა – მასწავლებლის ხელფასის ზრდა, სკოლის ადმინისტრაციის გაძლიერება. თავისუფალი გაკვეთილებიდან თითო ჩატარებულ საათზე სკოლას გადაერიცხება 30 ლარი, აქედან 10 ლარი მასწავლებლის ანაზღაურებაა, 10 ლარი – სკოლის ადმინისტრაციის, ხოლო 10 ლარით გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები დაფინანსდება. ჯამში, 3000-ლარიანი გრანტებია გათვლილი სკოლებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლა უზრუნველყოფს 100 დამატებით საათს, თავისუფალი გაკვეთილების სახით, სხვადასხვა მიმართულებებში.

– წელს რომელი მიმართულებები დაფინანსდება?

– ამ ეტაპზე შევარჩიეთ ოთხი მიმართულება, რომლებიც პრიორიტეტულად მიგვაჩნია – ჯანსაღი ცხოვრების წესი და სპორტი; ხელოვნება; ინტელექტუალური და შემეცნებითი მიმართულება; წიგნიერება, უპირატესობას ტექნოლოგიურ პროექტებს მივანიჭებთ.

ამ ოთხი მიმართულებიდან მასწავლებლებს მათთვის სასურველის არჩევა და პროცესში ჩართვა შეუძლიათ. ჩვენ ჩარჩო-პროგრამებს ვამზადებთ და რეკომენდაციების სახით ვაწვდით, რა თქმა უნდა, მათ ამის გამოყენება შეუძლიათ. ველოდებით, რომ საინტერესო საპროექტო წინადადებები და ინიციატივები შემოვა, შედარებით დიდი სკოლებიდან იმასაც ველით, რომ დაიმეგობრებენ პატარა, უფრო მცირეკონტინგენტიან სკოლებს და მათთან ერთად განახორციელებენ პროექტებს. ჩვენი სურვილია, მცირეკონტინგენტიანი სკოლები აქტიურად ჩაერთონ თავისუფალ გაკვეთილებში.

– სახეცვლილ სქემაში თავისუფალი გაკვეთილები კრედიტქულების მომტანი ერთ-ერთი დამატებითი აქტივობაა, როგორ და ვინ შეაფასებს გაკვეთილებს?

– შემფასებელი, ამ შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა – შეიქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც ამ აქტივობას პროექტის დასრულებისას შეუფასებს მასწავლებლებს კრედიტქულების სახით და ეს სქემაში აისახება. რაც შეეხება შესაფასებელი საათების რაოდენობას, 20 ჩატარებულ საათზე მასწავლებელი 0,5 კრედიტქულას მიიღებს. მას შეუძლია, კვირაში ორი საათი სპორტს დაუთმოს, დანარჩენ მიმართულებებს კი – მინიმუმ, 1 საათი. სხვა აქტივობებში იგულისხმება ხელოვნება, კულტურა, შემეცნებითი, გასვლითი ღონისძიებები, ექსკურსიები და ა.შ. რადგან წელს პროექტი სატესტო რეჟიმში იმუშავებს, ვფიქრობთ, საათების რაოდენობა ყოველწლიურად გავზარდოთ.

– არის თუ არა შეზღუდული თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების მსურველთა რაოდენობა და რა კრიტერიუმებით შეირჩევა პროექტები?

– რაოდენობა შეზღუდული არ არის, რადგან პროექტები კონკურსის სახით შეირჩევა. თუმცა გეტყვით, რომ წლევანდელი ბიუჯეტით თავისუფალ გაკვეთილებზე 4 მილიონი ლარია გათვალისწინებული. რაც შეეხება კრიტერიუმებს, როგორც გითხარით, პრიორიტეტი მიენიჭება დიდი სკოლების მიერ მცირეკონტინგენტიან სკოლებთან ერთად განხორციელებულ პროექტებს. ჯამში, 2100 საჯარო სკოლა გვაქვს, მათგან 1400 მცირეკონტინგენტიანია. გადავწყვიტეთ, რომ მცირეკონტინგენტიანი სკოლები ამ პროცესში აბსოლუტურად ცალკე იქნებიან ჩართული, ფაქტობრივად, ერთმანეთს შეეჯიბრებიან. ამ სკოლებისთვის ცალკე კონკურსი და საკონკურსო პირობები იქნება შეთავაზებული. მცირეკონტინგენტიან სკოლებში, საბოლოო ჯამში, რაოდენობრივად, მეტი პროექტი წავა, რადგან ერთ-ერთი მთავარი მიზანიც ეს არის – ხელი შევუწყოთ მათ გაძლიერებას, განსაკუთრებით ისეთი სკოლების, რომლებიც სოფელში მდებარეობს და ორასზე ნაკლები მოსწავლე ჰყავს

პროექტების შერჩევისას, აუცილებელი კრიტერიუმია, რომ მისი განმახორციელებელი სკოლის მასწავლებელი იყოს, ამასთანავე, მასობრივად ჩაერთოს მოსწავლეთა კონკრეტული რაოდენობა – VII-VIII-კლასელების 80% მაინც.

– შეუძლია თუ არა ერთი და იმავე მასწავლებელს თავისუფალი გაკვეთილებით კრედიტქულის რამდენჯერმე მიღება?

– იქიდან გამომდინარე, რომ რესურსებში შეზღუდულები ვართ, ბუნებრივია, გვირჩევნია მრავალფეროვანი პროდუქტი შევთავაზოთ მოსწავლეებს და, რაც შეიძლება, მეტი მასწავლებელი ჩავრთოთ პროცესში. თუმცა, გამონაკლისებსაც განვიხილათ – მაგალითად, თუ ერთმა მასწავლებელმა განსხვავებული და ძალიან კარგი პროექტი წარმოგვიდგინა, ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, მას კიდევ მივცემთ პროექტის განხორციელების შესაძლებლობას. არც კრიტერიუმებში გვაქვს ასეთი შეზღუდვა ჩადებული. გვირჩევნია, მეტი მასწავლებელი მონაწილეობდეს, მაგრამ, როგორც გითხარით, გამორჩეულ პროექტს გამონაკლისის სახით განვიხილავთ.

ალბათ, საინტერესო იქნება ისიც, რომ ახლა მზადდება ვებგვერდი თავისუფალი გაკვეთილების შესახებ, სადაც აიტვირთება მასალები, ფოტოები, ვიდეოები, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობა, რომელ სკოლაში ხორციელდება პროექტი, გაკვეთილების აღწერა და ა.შ. მარტიდან ვებგვერდი საჯარო გახდება და ნებისმიერ მსურველს შეეძლება, თვალყური ადევნოს თავისუფალი გაკვეთილების მიმდინარეობას.

– თავისუფალი გაკვეთილების განხორციელება მხოლოდ მიმართულებების სახით შეეძლებათ პედაგოგებს თუ ინტეგრირებულადაც, მაგალითად, ტექნოლოგიებთან?

– მაგალითისთვის გეტყვით, რომ მასწავლებლებისთვის ვგეგმავთ ტრენინგების ჩატარებას, რომელიც კოდირების შესწავლას ითვალისწინებს. პროგრამირების ერთ-ერთი ნაწილის – კოდინგის შესწავლა ერთ-ერთი პრიორიტეტია VII-VIII-კლასელებისთვის. ტექნოლოგიები, რასაკვირველია, შეიძლება მასწავლებელმა ნებისმიერი საგნის სწავლებისას გამოიყენოს – ხელოვნებაში, მუსიკაში და ა.შ. აქედან გამომდინარე, პროექტებიც შეიძლება იყოს ტექნოლოგიური ბმით დაწერილი და არა უბრალოდ ქაღალდზე. გაკვეთილებზე მასწავლებლებმა აქტიურად შეიძლება გამოიყენონ ტექნოლოგიები, მოსწავლეებს აჩვენონ ვიდეოები. ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ასევე რეკომენდაციის სახით შევთავაზეთ სკოლებს, არის „კინო სკოლაში“. ამ პროექტის ფარგლებში, გაიმართება ფილმების ჩვენება, დისკუსიები, დებატები, განხილვები და ა.შ. პარალელურად, ვამზადებთ პროექტებს და ვთავაზობთ მასწავლებლებს, მათ კი შეუძლიათ პირდაპირ აირჩიონ ჩვენ მიერ შეთავაზებული ან თვითონ მოამზადონ.

– რეალურად როდის ამოქმედდება თავისუფალი გაკვეთილები?

– ამ ეტაპზე, სკოლებს ვეკითხებით ვის რა რესურსი აქვს, პარალელურად, ვაწარმოებთ კვლევას – რა აინტერესებთ მოსწავლეებს, ვიკვლევთ, ასევე, იმ რესურსს, რა მიმართულებითაც აპირებენ პროგრამების განხორციელებას – დაახლოებით, სტატისტიკურ მონაცემებს ვაგროვებთ. მარტის თვიდან კი პროექტების განხორციელება რეალურად იქნება შესაძლებელი.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

უმაღლესი განათლება

ბოლონიის პროცესი საქართველოში მიღწევები და გამოწვევები

„ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები“ – ასეთი სახელწოდების პუბლიკაციას აქვეყნებს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, რომელშიც ასახულია 2015-2016 წლებში, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული კვლევა, რომლის მიზანი იმის გამოვლენაა, თუ რა მდგომარეობაა საქართველოს უნივერსიტეტებში ბოლონიის პროცესთან მიერთებიდან ათი წლის თავზე; კვლევა რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. სწავლებისა და კვლევის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებად აღებულია: ა) ბოლონიის ძირითადი პრინციპებისა და მოთხოვნების გათვალისწინება ნორმატიულ დონეზე – საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება სახელმწიფოს მიერ; ბ) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა როგორც სახელმწიფო, ისე საუნივერსიტეტო დონეზე და მათი ეფექტურობის შეფასება თავად უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ; გ) სამიზნე უნივერსიტეტების მიერ მოწოდებული ისეთი რაოდენობრივი მონაცემები, როგორიცაა სტუდენტებისა და პროფესორების რაოდენობა, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასებების სიხშირეები და ა.შ. დ) სწავლების და კვლევის ხარისხის განვითარების შეფასება აკადემიური პერსონალის მიერ; ე) კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიერ მიღებული განათლების ხარისხის და შიდა საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა თბილისის ექვს უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდა. სამ სახელმწიფო – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სამ კერძო – თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

კვლევის ანგარიშში ნათქვამია, რომ ბოლონიის პროცესით გათვალისწინებული რეფორმები საქართველოში ფორმალურ დონეზე წარმატებით განხორციელდა, რაც იმას გულისხმობს, რომ მოწესრიგდა უმაღლესი განათლების სახელმწიფო საკანონმდებლო ჩარჩო – კანონში უმაღლესი განათლების შესახებ გაიწერა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემის ძირითადი მახასიათებლები, დაინერგა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა, კანონით განისაზღვრა სახელმწიფო უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დანერგვა და შეიქმნა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. მიუხედავად ამისა, კველევის შედეგად, სწავლისა და სწავლების, კვლევის ხარისხთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა გამოვლინდა.

კვლევის ერთ-ერთი საინტერესო ასპექტია სტუდენტების მიერ აკადემიური პროგრამების, აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმისა და სასწავლო პროცესის შეფასება:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში, განსაკუთრებით გამოიკვეთა ფოკუსჯგუფების მონაწილეთა უკმაყოფილება აკადემიური პერსონალის მიმართ. რესპონდენტები პროფესორების არაპროფესიონალიზმს უჩივიან და აღნიშნავენ, რომ ამის გამომხატველი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი პროფესორების სტუდენტებთან დამოკიდებულებაა. მონაწილეებმა მრავალჯერ გაუსვეს ხაზი პროფესორების მხრიდან უთანასწორო და გულგრილ დამოკიდებულებას სტუდენტების მიმართ, რაც გამოიხატება როგორც ცინიკური, სექსისტური და ჰომოფობიური განწყობებით, ისე სტუდენტებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ ბევრი ლექტორი არის სექსისტი და ჰომოფობი. როდესაც იგებენ, რომ ქალთა უფლებებზე, ლგბტ თემაზე და ა.შ. საკითხებთან დაკავშირებით გვაქვს გამოცდილება ან კვლევას აკეთებ, დაინტერესებული ხარ ან სენსიტიური ამ თემების მიმართ, ეჭვის თვალით გიყურებენ; თითქოს გეუბნებიან, რომ გაიზრდები, უფრო მნიშვნელოვანი თემებით დაინტერესდებიო. ასეთი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, ნამდვილად სამარცხვინოა უმაღლეს სასწავლებელში“ (მდედრ., 2011-2016).

„ვართ სტუდენტების ისეთი ნაწილი, ვისაც რაღაცის გამოსწორება გვინდა. როდესაც ლექტორს ვუთხარით, რომ სემინარი და ლექციაზე ჯდომა არაფერს გვაძლევდა, ამიტომ დავწეროთ ესეები, ვიმსჯელოთ, მოვაწყოთ დისკუსიები-თქო, ლექტორი ძალიან გაღიზიანდა და ერთ-ერთ სტუდენტს უთხრა, მოკეტეო. მეორეს დაცინვა დაუწყო, შენ სწავლა არ გინდა და ფინალურების ჩაბარება არ გინდაო“ (მდედრ., 2011-2016).

ლექტორების პროფესიონალიზმის შეფასების არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი დამოკიდებულება საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და ცოდნის წარმოებასთან. ერთ-ერთ ფოკუსჯგუფში ხაზი გაესვა თსუ-ს პროფესორებს შორის ცოდნის გადაცემის მიმართ არასწორ, ნეგატიურ დამოკიდებულებას.

„მე რასაც ვუყურებ, ლექტორებს ცოდნის მიმართ ფაშისტური დამოკიდებულება აქვთ. ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები გასწავლონ, რაც შეიძლება ნაკლები გალაპარაკონ ლექციაზე, რომ მათზე ჭკვიანი არ გამოჩნდე. ბევრჯერ მქონია შემთხვევა, როცა დასმულ კითხვაზე ლექტორისგან ირონიული და ცინიკური პასუხი მიმიღია. ცდილობს, დაგამციროს სხვა სტუდენტების თვალში, ვინმემ არ იფიქროს, რომ მისი თანაკურსელი უფრო ჭკვიანია, ვიდრე მისი ლექტორი“ (მდედრ., 2011-2016).

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ თსუ-ში „ძველ“ და ახალგაზრდა ლექტორებს შორის ფუნდამენტური განსხვავებაა.

„იყო ლექტორების ორი კატეგორია: ძველი ლექტორები, რომლებიც არ იცნობენ თანამედროვე პროცესებს და სწავლების მეთოდებს, არ გისმენენ, არ ითვალისწინებენ შენს აზრს, მონოტონურად კითხულობენ ლექციას. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სჭირდებათ მსმენელი, რომელსაც თავის აზრს მოახვევენ. მეორე კატეგორია არიან ახალგაზრდები, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ უცხოეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, მაგრამ არასდროს აქვთ ლექციის დრო, სემინარზე მოსვლის დრო, სულ აგვიანებენ, სულ უცხოეთში არიან და ვერ გიტარებენ ლექციას, ამიტომ, რეალურად, ვერც მათგან ვილებდით იმას, რაც უნდა მიგვეღო“ (მდედრ. 2011-2016).

თსუ-ს კურსდამთავრებულები დამოუკიდებელი აზროვნებისა და კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებენ პრაქტიკული სასწავლო კურსების სიმწირეს და ძირითად ფოკუსს თეორიულ სწავლებაზე.

„ლექტორი, რომელიც მასწავლის (დასახელებულია საგანი), არ გვაკეთებინებს კრიტიკულ ანალიზს, რაც (დასახელებულია დარგი) არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ვსწავლობთ და ვწერთ ამ თეორიებზე, მაგრამ არანაირი კრიტიკული მსჯელობა არ მიმდინარეობს. ლექციაზე არის ლექტორის ერთგვარი მონოლოგი, გვიკითხავენ ლექციებს, ეს მე პირადად არ მომწონს, ვფიქრობ, უფრო მეტი დისკუსია უნდა იყოს, უფრო მეტი ინდივიდუალური სამუშაო და ა.შ.“ (მდედრ., 2011-2016).

„კონკრეტულად დარგობრივი პრაქტიკული ცოდნა, რომელიც გჭირდება, კვლევითი სამუშაო რომ აწარმოო, იყო ნოლი“ (მამრ., 2005-2010).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ფოკუსჯგუფზე გაესვა ხაზი, ლექტორებისგან უკუკავშირის მიღების სურვილია. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ხშირად ვერ იღებენ უკუკავშირს პროფესორებისგან, რის ერთ-ერთ მიზეზად სასემინარო ჯგუფებში სტუდენტების დიდი რაოდენობა სახელდება. რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ, ზოგ შემთხვევაში, ლექტორები მხოლოდ ზედაპირულად გადახედავენ ხოლმე ნაშრომებს და კონკრეტულ ახსნა-განმარტებას არ აძლევენ სტუდენტებს დაშვებული შეცდომების შესახებ.

„ჩემი კვლევა ვინც შეასწორა, უბრალოდ გადახედა, ეზარებოდა... უკუკავშირის პრობლემაა“ (მდედრ., 2011-2016).

სტუდენტებს შორის დომინანტურია მოსაზრება, რომ უნივერსიტეტში მოქმედი 100-ქულიანი სისტემა ობიექტურად ვერ აფასებს სტუდენტის ცოდნას და მხოლოდ ფორმალურ საზომად რჩება.

„ქულები ხომ იმიტომ იწერება, რომ სტუდენტის ცოდნა ასაზომ? თუ ეს არის ცოდნის საზომი, მე არ მესმის, რატომ უნდა დაიწეროს ლექციაზე სიარულში ქულა, მე შეიძლება ლექციაზე ვიარო და ტელეფონზე თამაშის გარდა არაფერი გავაკეთო და არაფერი მოვისმინო. მხოლოდ იმისთვის, რომ მოვედი და დაგენახე, ვიღებ ქულას, ასევე, სხვადასხვა კომპონენტებისადმი არის არაპროპორციულად მინიჭებული ქულა. მქონია საგანი, რომელშიც 100-დან 30 ქულა იწერება 15-წუთიან პრეზენტაციაში, რომელსაც ძალიან მარტივად ამზადებენ, 1 საათის განმავლობაში დაჯდები, მასალებს ინტერნეტიდან დააკოპირებ და იღებ 30 ქულას. რაც მთელი სემესტრის განმავლობაში იმეცადინე და იკითხე, ფაქტობრივად, იმის ნახევარს ღებულობ 15-წუთიან პრეზენტაციაში. გარდა ამისა, შეფასების დროს ლექტორის სუბიექტური გადმოსახედიდან გამომდინარეობს ბევრი რამ. ყველა ლექტორი სილაბუსის სხვადასხვა ქულებს საზღვრავს“ (მდედრ., 2011-2016).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები ილიაუნის პრფესორებს ცოდნასა და გამოცდილებას არ უწუნებენ, მაგრამ პოზიტიურად არ აფასებენ მათ დამოკიდებულებას სტუდენტების მიმართ. სტუდენტებს ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ლექტორები მათზე მაღლა აყენებენ საკუთარ თავს და სტუდენტებთან ავტორიტეტის პოზიციიდან კომუნიკაციას ცდილობენ.

„ლექტორს სტუდენტთან ურთიერთობა უნდა შეეძლოს, არ უნდა მაგრძნობინოს, რომ ჩემზე რამით მეტია. ჩემთვის კარგი ლექტორი ის არის, ვინც ზემოდან არ მიყურებს“ (მამრ., 2006-2010).

„ჩემთვის, კვალიფიციურობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ლექტორის მიმართ არ ჰქონდეთ სტუდენტებს დამოკიდებულება, რომ ის ავტორიტეტია, რადგან შემდგომ ამ ლექტორების მოსაზრება ჰგონიათ ამოსავალი წერტილი“ (მდედრ., 2006-2010).

ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა პროფესორებისგან უკუკავშირის მიღების პრობლემაზეც ისაუბრეს როგორც წერილობითი, ისე ზეპირსიტყვიერი ფორმით.

„მესამე კურსზე მივიღე ნამდვილი უკუკავშირი. მომდის ვორდის ფაილი, სადაც თითოეული აბზაცი შინაარსობრივად და აკადემიურად არის გასწორებული, აღნიშნულია, რა არის შეცდომით და რა არა. გეუბნება, რომ აქ შეიძლებოდა უფრო მეტი მსჯელობა, შენი ესე არის თავიდან ბოლომდე არგუმენტირებულად დამუშავებული, ამას რომ იღებ, შოკში ხარ“ (მამრ., 2006-2010).

უკუკავშირის ნაკლებობის გარდა, რესპონდენტები კომუნიკაციის პრობლემებზეც საუბრობენ და ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც ლექტორის ინიციატივით ლექციის გაცდენის შესახებ ბოლო მომენტში, ლექციის დაწყებამდე ათი წუთით ადრე იგებენ.

„პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ყველა ლექტორმა, ასე თუ ისე, იცის თავისი საქმე, მაგრამ არიან ლექტორები, რომლებიც მოვალეობის მოხდის მიზნით მოდიან ლექციაზე ან ზოგჯერ ლექციის დაწყებამდე 10 წუთითი ადრე გწერენ, რომ ვერ მოდიან ლექციაზე. მაშინ, როდესაც მე უკვე აუდიტორიაში ვზივარ და ველოდები. იყო შემთხვევები, როდესაც საერთოდ არ გწერდნენ“ (მდედრ., 2001-2016).

განსაკუთრებულ პრობლემად სახელდება სასწავლო მასალების ქართულ ენაზე არარსებობა. კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ პრობლემამ სწავლის პერიოდში მათ ბევრი სირთულე შეუქმნა. ბაკალავრიატის სტუდენტებს განსაკუთრებით უჭირთ ინგლისურენოვანი ტექსტების დაძლევა.

„ბაკალავრიატზე კურსის პრობლემა იყო ის, რომ კვირაში, დაახლოებით, ას ინგლისურ გვერდს გვაძლევდნენ წასაკითხად. მასალა ქართულად არ არის, ამიტომ გიწევს იმ ენაზე მუშაობა, რომელიც შეიძლება არც იცი კარგად. უნივერსიტეტში ქართული მასალების დიდი პრობლემაა“ (მამრ., 2006-2010).

მიუხედავად ამ პრობლემებისა, ფოკუსჯგუფების მონაწილეების უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვამს ილიაუნიში სწავლების პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით და მისი დახმარებით შეძენილ არაერთ უნარს (კომპეტენციას) ასახელებს.

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თეორიული (საგნის) ცოდნის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, პოზიტიური შეფასება იმ ლექტორებს აქვთ, რომლებიც თავად არიან პრაქტიკოსები, შეუძლიათ სტუდენტებს პირადი გამოცდილება გაუზიარონ და მხოლოდ თეორიული კურსით არ შემოიფარგლონ. სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებითაც, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია საგნის (ან საკითხის) გაგებასა და ანალიზზე და არა უბრალოდ დაზეპირებაზე. აქედან გამომდინარე, სასწავლო პრაქტიკაში დანერგილია ე.წ. „ქეისებზე“ მუშაობა. მნიშვნელოვანი დატვირთვა მოდის სასემინარო საათებზე, როდესაც სტუდენტები სალექციო საკითხებს ჯგუფურად აანალიზებენ და ყველა სტუდენტი ჩართულია პროცესში.

„ძირითადად, ისე არის სემინარი დატვირთული, რომ სტუდენტებმა უნდა ისაუბრონ და გააკეთონ ანალიზი, არ ზიხარ და არ უსმენ ლექტორს. ჩემი აზრით, გაცილებით ეფექტურია, როდესაც სემინარი და ლექცია ერთნაირი არ არის. ლექციაზე გიხსნის და გაწვდის ინფორმაციას ლექტორი და ამ ინფორმაციის გადამუშავების და გაანალიზების საშუალება გეძლევა, როდესაც შენ თვითონ ხარ იძულებული, ამ ყველაფერზე ისაუბრო“ (მდედრ., 2011-2016).

განათლების ხარისხისა და სწავლის გადასახადის შეფარდების თვალსაზრისით, ფოკუსჯგუფების ფაქტობრივად ყველა მონაწილეს მიაჩნია, რომ თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლის ხარისხსა და საფასურს შორის სრული შესაბამისობაა. როგორც კურსდამთავრებულები, ისე სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სწავლების, სტუდენტზე ორიენტირებული სერვისისა და ინფრასტუქტურის მაღალი სტანდარტები ამ უნივერსიტეტის სავიზიტო ბარათია.

სამიზნე უნივერსიტეტებთან შედარებით, რესპონდენტები ნაკლებ კრიტიკული და უფრო მეტად დადებითად განწყობილი არიან თავიანთი უნივერსიტეტის მიმართ. სტუდენტების შეფასებით, თავისუფალი უნივერსიტეტი, დღეს, საქართველოში საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელია, რომელსაც წარმატებული კურსდამთავრებულები ჰყავს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც მას ESM ეწოდებოდა (2008 წლამდე).

აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმზე საუბრისას, **შავი ზღვის უნივერსიტეტში** ორ ფოკუსჯგუფს შორის განსხვავებები გამოიკვეთა. 2005-2010 წლის ფოკუსჯგუფის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ მათი სწავლის პერიოდში უნივერსიტეტში ლექციებს, ძირითადად, არაქართველი, ამერიკელი ლექტორები კითხულობდნენ და სულ სხვა სტანდარტებს ამკვიდრებდნენ. მათ განსაკუთრებული მიდგომები ჰქონდათ სტუდენტებთან და პროფესიონალები იყვნენ, მათი ლექციები ინტერაქტიული იყო და ამ პროცესში ყველა სტუდენტი მონაწილეობდა.

„პროფესიონალები იყვნენ ნამდვილად და ინტერაქტიულობას რაც შეეხება, მეტ-ნაკლებად იყო, ზოგიერთი ლექტორი – უფრო მეტად, ზოგიერთი – უფრო ნაკლებად, თუმცა არ მახსენდება ისეთი ლექტორი, რომელიც უბრალოდ დადგებოდა, ისაუბრებდა და ჩვენ მოვუსმენდით“ (მდედრ., 2005-2010).

კრიტიკული მოსაზრება აქვთ საკუთარი ლექტორების მიმართ 2010-2016 წლის ფოკუსჯგუფის მონაწილეებს. ისინი ამბობენ, რომ უნივერსიტეტი გაიზარდა და სწავლა ქართულადაც მიმდინარეობს, ლექტორების უმრავლესობა ქართველია, რადგან უნივერსიტეტს აღარ აქვს რესურსები, ყველა საგანში უცხოელი ლექტორები მოიწვიოს. ქართველი ლექტორების უმრავლესობას კი არ აქვს საგნის სწავლების შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება.

„იშვიათია ლექტორი, რომელიც კონკრეტულ კითხვაზე გაგცემს პასუხს. შეიძლება ლექცია იყოს სხვა განხრით და შენ კითხვა სხვა მხრივ გაგიჩნდეს, ამაზე ლექტორი ჯერ დაფიქრდება და, ან გაგცემს სრულფასოვან პასუხს, ან გეტყვის, რომ უნდა მოიძიო შენით“ (მამრ., 2011-2016).

ამავე ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა უკმაყოფილება იმის გამოც გამოთქვეს, რომ ლექტორები არაკეთილსინდისიერად ასრულებენ საკუთარ საქმეს. ეზარებათ ლექციების მომზადება და ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა საგანში ერთსა და იმავე წიგნს იყენებენ, სხვადასხვა საგნის სილაბუსები კი ერთმანეთს ემთხვევა. ლექტორები იყენებენ ერმანეთის პრეზენტაციებს, რომლებიც ასევე ინტერნეტიდანაა ჩამოტვირთული და სხვისი სახელი და გვარი აწერია.

რაც შეეხება სასწავლო პროცესსა და პროგრამის სტრუქტურებს, ფოკუსჯგუფის მონაწილეები ამბობენ, რომ მათთან ცვლილებები ბოლონიის პროცესთან მიერთებამდე დაიწყო, 2014 წელს, როდესაც სილაბუსები და შეფასების ახალი სისტემა შემოიღეს.

„ჩვენი უნივერსიტეტი იყო 2004-ში მთავარი გარდამტეხი მომენტი, ამ დროს დაიწყო და გაფართოვდა და განსაკუთრებით მაშინ მიაქციეს ხარისხს ყურადღება“ (2005-2010).

უმაღლესი განათლება

რა ძირითადი მიღწევები და გამოწვევები გამოიკვეთა განხორციელებული კვლევის შედეგად და რა რეკომენდაციები მომზადდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – ამის შესახებ გთავაზობთ კვლევის ავტორების, უმაღლესი განათლების მკვლევრების – დიანა ლეჟავასა და მარიამ ამაშუკელის კომენტარებს.

დიანა ლეჟავა – პროექტი 2015-16 წლებში განახორციელა „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრმა“, ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი მიზნად ისახავდა იმის კვლევას, თუ როგორ განხორციელდა ბოლონიის პროცესი საქართველოში ხელმოწერიდან ათი წლის განმავლობაში (2005-2015 წლებში). კვლევის ფარგლებში მოვიცავით ექვსი უმაღლესი სასწავლებელი – სამი კერძო და სამი სახელმწიფო. გვსურდა, დაგვენახა, თუ როგორ უბამენ ფეხს კონკრეტულ რეფორმებს თავად უნივერსიტეტები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბოლონიის პროცესით გათვალისწინებული რეფორმები საქართველოში წარმატებით დაინერგა ფორმალურ დონეზე, რაც გულისხმობს, რომ მოწესრიგდა უმაღლესი განათლების სახელმწიფო საკანონმდებლო ჩარჩო. ბოლონიის პროცესმა უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში საკმაოდ ბევრი ცვლილება დანერგა – სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურები); დაინერგა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რაც ხელს უწყობს სტუდენტების საერთაშორისო მობილობას. ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მთავარი განზომილება სწორედ აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის გაძლიერებაა. გარდა ამისა, შეიქმნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია განათლების ხარისხის უზრუნველყოფასა და აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცედურების შესრულებაზე. სწორედაც რომ, პროგრამული აკრედიტაციის მინიჭების საფუძველზე უსდ-ებს უფლება მიიღონ სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტები. თავის მხრივ, სახელმწიფო უნივერსიტეტებს დაევალათ, ჩამოეყალიბებინათ ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულები – აი, ეს საკითხები მოწესრიგდა, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ბოლონიის პროცესის დანერგვას უფრო ნაკლები ეფექტი ჰქონდა თავად სწავლის, სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, სწავლების თანამედროვე მეთოდების ნაკლებად გამოყენებაა. სტუდენტების მხრიდან მეტი მოთხოვნაა ინტერაქტიულ ლექცია-სემინარებზე. სტუდენტებიც და კურსდამთავრებულებიც ამბობენ, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ტრანსფერული უნარების განვითარება, რაშიც იგულისხმება კრიტიკული აზროვნების, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კომუნიკაციის უნარების განვითარება და ა.შ. ამის ერთ-ერთ საშუალებად ასახელებენ პრაქტიკაზე ორიენტირებულ ლექცია-სემინარებს, ასევე, ე.წ. ქეისების განხილვაზე დაფუძნებულ სწავლებას და არა მხოლოდ თეორიული მასალის მიმოხილვას. ეს ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა სტუდენტების მხრიდან. მათი საუბრიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია უკუკავშირის მიღება ლექტორებისგან, რის დეფიციტსაც ამჟამად განიცდიან.

მარიამ ამაშუკელი – სტუდენტების შეფასებით, ლექტორი კვალიფიციურია, თუ ის დაინტერესებული და მოტივირებულია რეალურად ასწავლოს სტუდენტს. თავისთავად, სწავლების პროცესი ვერ იქნება სრულფასოვანი, თუ ლექტორი არ მისცემს სტუდენტს უკუკავშირს მის მიერ შესრულებულ, ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ, დავალებებზე. ასევეა აუდიტორიული სწავლების პროცესშიც. კვალიფიციურობა, სტუდენტების მიერ, იმითაც ფასდება, რომ აუდიტორიული სწავლების პროცესი არ იყოს მხოლოდ ლექტორის მონოლოგი. მათთვის მისაღებია ინტერაქტიული ფორმატი ლექტორსა და სტუდენტებს შორის, სადაც დომინანტური აზრი არ იარსებებს. სტუდენტები ჩივიან, რომ დარგს, მეტწილად, თეორიულად სწავლობენ და ამიტომ, როცა შრომის ბაზარზე შედიან, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების პრობლემა ჩნდება.

სტუდენტები თანამედროვე ლიტერატურის დეფიციტზეც საუბრობენ. ეს პრობლემა მართლაც არსებობს, რადგან, ერთი მხრივ, თანამედროვე ლიტერატურა ქართულ ენაზე არ ითარგმნება, მეორე მხრივ, ყველამ არ იცის ინგლისური ენა იმ დონეზე, რომ წაიკითხოს, გაიგოს და ტექსტზე მუშაობა სრულფასოვნად შეძლოს. ეს არ ვრცელდება მხოლოდ სტუდენტებზე, იგივე პრობლემა დგას პროფესორებისთვისაც. ბაკალავრიატის დონეზე, კანონი არეგულირებს, რომ სწავლება ქართულ ენაზე წარიმართოს, შესაბამისად, სასწავლო რესურსიც მშობლიურ ენაზე უნდა ჰქონდეს სტუდენტსაც და ლექსტორსაც.

კვლევიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტები ყველაზე პოზიტიურად ინფრასტრუქტურას აფასებენ. კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე წვდომა გაზრდილია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტებში, ასევე, აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკებზეც, თუმცა, პრობლემა ისევ ენის არასათანადო ცოდნაა, რადგან, სამწუხაროდ, სკოლის დონეზე ნასწავლი ინგლისურით ასეთ ტექსტებს სტუდენტები ვერ ძლევენ.

დიანა ლ. – რეკომენდაციები სამ ნაწილად მოვამზადეთ და პირველი ეკუთვნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რადგან გარკვეული ხარვეზები, კანონმდებლობის თვალსაზრისით, კიდევ არსებობს და დახვეწას საჭიროებს. ეს, პირველ რიგში, დოქტორანტურის საფეხურის საკითხის მოწესრიგებას ეხება. ამ ეტაპზე სადოქტორო პროგრამული აკრედიტაცია წინა საფეხურების თითქმის იდენტური სტანდარტებით ხორციელდება, რაც არ იძლევა უსდ-ებში კვლევის განვითარების შესაძლებლობას.

მარიამ ა. – ადამიანს, რომელიც დოქტორანტურაში აბარებს, სტუდენტის სტატუსი აქვს და არა მკვლევრის, რომელსაც უნივერსიტეტი იმისთვის ქირაობს, რომ კონკრეტულ საკითხზე იმუშაოს. სწორედ ეს არის შესაცვლელი, რათა უნივერსიტეტი რეალურად კვლევაზე ორიენტირებული სივრცე გახდეს. სხვაგვარად, კვლევის გარეშე, ვერც ახალი ცოდნის წარმოება ვერ მოხდება და ვერც არსებულის განახლება. დღეს, სამწუხაროდ, როგორც გითხარით, დოქტორანტი, მკვლევრის სტატუსის ნაცვლად, სტუდენტის სტატუსით სარგებლობს. ეს საკითხი აუცილებლად კანონით უნდა დარეგულირდეს. აუცილებელია, კვლევა გახდეს დოქტორანტურაში მიღების წინაპირობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს კვლევითი პროექტები, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა მეცნიერს მიიღებს, როგორც კვლევითი პროექტის თანამშრომელს, როგორც მკვლევარს და არა როგორც სტუდენტს, შესაბამისად, დოქტორანტურის დაფინანსების სისტემაც უნდა შეიცვალოს. დღეს დოქტორანტი, საქართველოს თითქმის ყველა უნივერსიტეტში (გამონაკლისია, მაგალითად, ილიაუნი), თავად იხდის ფულს დოქტორანტურის საფეხურზე.

დიანა ლ. – „შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს“ აქვს დოქტორანტების დაფინანსების ორი პროგრამა. ერთი 2013 წელს დაიწყო და გულისხმობს დოქტორანტის მიერ, ინდივიდუალურად, ფონდში წარდგენილ სადოქტორო განაცხადს, რომელსაც ფონდი აფინანსებს. მოპოვებული გრანტი შეიძლება გაიხარჯოს როგორც კვლევითი, საველე სამუშაოსთვის საჭირო აღჭურვილობისთვის, ასევე, სამივლინებო ხარჯებისა და ხელფასისთვის და ა.შ. ეს, რასაკვირველია, ძალიან კარგია და ამით თითქოს დაიძრა დოქტორანტურის დაფინანსების პროცესი, მაგრამ საკმარისი არ არის. 2016 წლიდან „რუსთაველის ფონდმა“ მეორე პროექტი დაიწყო. ამ შემთხვევაში, განაცხადს უნივერსიტეტი აკეთებს, პროგრამა გულისხმობს რამდენიმე დოქტორანტისა და მათი ხელმძღვანელის ერთობლივ განაცხადს. ეს პროგრამა შარშან, შემოდგომაზე განხორციელდა პირველად, რომლის თანახმად, შესაძლებელია ძველი სადოქტორო პროგრამის მოდერნიზება ან საერთოდ ახალი სადოქტორო პროგრამის შექმნა.

მარიამ ა. – თუმცა, როცა დოქტორანტი თავის მიერ მოპოვებული დაფინანსებით მიდის უნივერსიტეტში, ეს არის დაფინანსების ისევ ის მოდელი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით. უნივერსიტეტი თავად უნდა უზრუნველყოფდეს კვლევით პროექტებს და დაფინანსებული კვლევის ფარგლებში იღებდეს დოქტორანტებს, ასაქმებდეს კონკურსის საფუძველზე, როგორც ეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემებში ხდება.

რეკომენდაციებზე ვსაუბრობდით და მინდა დავამატო, რომ დღის წესრიგში უნდა დადგეს აკადემიური პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების გადახედვა. ეროვნულ სივრცეში შექმნილი სტანდარტები, თავის მხრივ, ეფუძნება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ შექმნილ სახელმძღვანელო პრინციპებს და სტანდარტებს. თუმცა, ეროვნულ დონეზე არ გვაქვს განსაზღვრული კონკრეტული ინდიკატორები, რომლითაც შევაფასებდით სტანდარტის შესრულების ხარისხს. აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტს და კონკრეტულ პირს, რომელიც ამ აკადემიური პროგრამის ავტორია, ფაქტობრივად, შეუძლია ნებისმიერი რამ მიუთითოს სტანდარტის დამაკმაყოფილებელ ინდიკატორად თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა აცდენილი იყოს სტანდარტის რეალურ დაკმაყოფილებას, ეს არ არის მხოლოდ ჩვენი პუბლიკაციის ფარგლებში გამოტანილი დასკვნა, ამას სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2016 წლის ანგარიშში ამბობს, რომელიც მოხსენიებული გვაქვს კიდეც პუბლიკაციაში – პროგრამული აკრედიტაციების 80 პროცენტის შემთხვევაში, უნივერსიტეტების მხრიდან ხდებოდა სრულიად არარელევანტური დოკუმენტაციის წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის. მიუხედავად ამისა, პროგრამების უმრავლესობის დამტკიცება და მათთვის აკრედიტაციის სტატუსის მინიჭება მაინც ხორციელდება. სწორედ აქ გვჭირდება ცხადი ინდიკატორები, რომლითაც გავზომავდით, რეალურად ხდება თუ არა არსებული სტანდარტების დაკმაყოფილება და რისი გაკეთება შეიძლება არსებული სტანდარტების განახლების მიმართულებით, შესაბამისად, აღარ დადგებოდა არარელევანტური დოკუმენტაციის წარდგენის საჭიროება უნივერსიტეტების მხრიდან, რადგან ეცოდინებოდათ, როგორ უნდა დააკმაყოფილონ ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტანდარტების ნაკრები. თავისთავად, დარგის ექსპერტებისთვისაც, რომლებიც აკადემიურ პროგრამებს აფასებენ, უფრო ცხადი იქნებოდა, როგორ და რა ინდიკატორებით შეაფასონ პროგრამები. ამ მიმართულებით მუშაობა ნამდვილად გასაძლიერებელია. ეს რეკომენდაცია პირდაპირ გვაქვს დაწერილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ, თუმცა, ეს თავად უნივერსიტეტებსაც ეხებათ – მათაც უნდა იაქტიურონ და მოსთხოვონ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, რომ შეფასების პროცედურები უფრო ცხადი, გამჭვირვალე და ბევრად გამარტივებული იყოს. რაც მთავარია, სწორედ ამით უნდა უზრუნველყონ უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება. სტუდენტები იმასაც ამბობდნენ (ჩვენს პუბლიკაციაშიც არის ეს ნახსენები), რომ სერიოზული პრობლემაა, როცა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე მსგავსი სილაბუსებით სწავლობენ, ანუ, მაგისტრატურის დონეზე, შეიძლება, სტუდენტმა ახალი ვეღარაფერი ისწავლოს.

დიანა ლ. – ჩვენი კვლევის რესპონდენტი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ვინც უშუალოდაა ჩართული პროგრამული აკრედიტაციის პროცესში, ამბობდა, რომ თვითონ აკრედიტაცია, სწორედ ხსენებული მიზეზების გამო, ძალიან ფორმალურია – ფასდება მხოლოდ ფორმა და არა შინაარსი. ფორმაში იგულისხმება იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელიც უსდ-ებმა სრული სახით ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრს უნდა წარუდგინონ, მაგრამ შიგნით რა წერია, რამდენად რელევანტურია თუნდაც სილაბუსების შინაარსი იმ შედეგებისთვის, რომელიც კონკრეტული სასწავლო კურსის საფუძველზე უნდა მიიღოს სტუდენტმა, ამის შეფასება ნაკლებად ხორციელდებოდა. ჩვენს რესპონდენტებს სწორედ ეს პრეტენზია ჰქონდათ აკრედიტაციის პროცედურების მიმართ – ძალიან ფორმალურია.

საერთო ჯამში, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ბოლონიის პროცესი არ დაინერგა საქართველოში. ეს პროცესი ძალიან ბევრ განზომილებას მოიცავს და ნაწილი, რა თქმა უნდა, სრულდება, მაგრამ საუბარია იმაზე, ამ ყველაფრის დანერგვა რამდენად ახდენს გავლენას სწავლის, სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებაზე. თავად აკადემიური პერსონალიც კი ამბობს, რომ არსებით განსხვავებას, ბოლონიამდელ და ბოლონიის შემდგომ პერიოდში, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ვერ ხედავენ. ამას სტუდენტებიც აღნიშნავენ. სწორედ ეს იგულისხმებოდა ფორმალურ მხარეში, რომ ჩარჩო მოწესრიგდა, მაგრამ შინაარსის მხრივ სერიოზული პრობლემები გვაქვს. დროა, მთელი სისტემა შინაარსობრივ ნაწილზე, შინაარსის უზრუნველყოფაზე გადავიდეს. ამას მხოლოდ აკრედიტაცია ან ავტორიზაცია არ განაპირობებს. აკრედიტაცია არის სახელმწიფო მოთხოვნა, რაზეც მიბმულია დაფინანსება და სხვა უამრავი რამ, მაგრამ არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელსაც სახელმწიფოსთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს არის უნივერსიტეტების შიდა პასუხისმგებლობის სისტემა, რომ თავადვე უზრუნველყონ ხარისხის რეგულარული მონიტორინგი და გაუმჯობესება.

მარიამ ა. – ეს არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა კომპონენტი, რომელსაც განათლების კანონი ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოში – სისტემატურად მოახდინონ შიდა შეფასება და მისი შედეგები იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. ეს ნიშნავს, რომ ინფორმაცია, მინიმუმ, ვებგვერდზე უნდა ედოთ. ჩვენი კვლევის ფარგლებში, სწორედ ვებგვერდებიდან ვცდილობდით ამ ინფორმაციის ამოღებას. თუმცა, ძირითადად, უშედეგოდ.

დიანა ლ. – ერთია ჩატარებული კვლევა და გამოვლენილი პრობლემები (თუნდაც, რეგულარულად ატარებდეს ესა თუ ის უნივერსიტეტი) და მეორეა, ამის ასახვა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. სტუდენტები თავად აღნიშნავენ, რომ მათ შეფასებებზე, უკუკავშირზე არ ხდება ამაზე რეაგირება, ამის გათვალისწინება. ეს სერიოზული პრობლემაა. კი, ბატონო, ვატარებთ კვლევას, ვადგენთ პრობლემას, გამოგვაქვს შესაბამისი დასკვნები, მაგრამ მთავარია შემდეგ რას ვაკეთებთ, ამ დასკვნებზე დაყრდნობით თუ ვაუმჯობესებთ რამეს. ეს არის გასათვალისწინებელი, პირველ რიგში.

მარიამ ა. – ბოლონიის პროცესის დაწყებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ჯერჯერობით, შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციურ იმპერატივად რჩება – ეს არის ზემოდან დაწყებული პროცესი, რომელიც მოდის ქვევითკენ. პროცესი საკმაოდ მტკივნეულია, რადგან ძალიან ბევრი ახალი რეგულაცია, საკანონმდებლო ცვლილება შეიქმნა. ჩვენი კვლევის ფარგლებში, აკადემიური პერსონალიც საუბრობდა იმაზე, რომ თუნდაც აკადემიური პროგრამების აკრედიტაციის პროცედურები და ის საქმიანობა, რომელსაც უნივერსიტეტებთან მიმართებაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აწარმოებს, მათ მიერ აღიქმება, როგორც სადამსჯელო ღონისძიებები. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებითაც არის პრობლემა – რამდენად ხდება ან არ ხდება შედეგების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული თანამშრომლობა უნივერსიტეტებსა და, ვთქვათ, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის. როგორც ჩანს, სწორედ საუნივერსიტეტო დონეზე დანერგვასთან გვაქვს პრობლემები, თორემ ნორმატიულ დონეზე ბევრი რამ მოწესრიგდა. როგორც ვიცით, კიდევ არის საკანონმდებლო პაკეტები მომზადებული მაგრამ შესრულებისა და იმპლემენტაციის დონეზე, რჩება პრობლემები. თავად უნივერსიტეტებმა უნდა იმარჯვონ და მეტი გააკეთონ უნივერსიტეტების შიგნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა მეტად უნდა იზრუნონ ხარისხის შეფასებაზე და შემდეგ – გაუმჯობესებაზე. ის, რაც საკანონმდებლო, ნორმატიულ და სტრატეგიების შემუშავების დონეზე ხდება, რეალურად უნდა აღასრულონ უნივერსიტეტებმა. ამაში, რა თქმა უნდა, მათ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები უნდა ეხმარებოდნენ ინტენსიური თანამშრომლობის გზით.

დიანა ლ. – ბოლონიის პროცესი, პირველ რიგში, სწორედ სწავლის, სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობს. თუ ამაში სტუდენტები არ იქნებიან ჩართული (რადგან რეალურად ისინი არიან ამ პროცესის მთავარი აქტორები, რა თქმა უნდა, აკადემიურ პერსონალთან ერთად), მათ შეფასებებს არავინ მოისმენს და რეაგირებას არავინ მოახდენს, მაშინ ბოლონიის პროცესი, ისევ და ისევ, ფორმალურ ჩარჩოდ დარჩება.

ზოგადად, 2005 წელს, ბოლონიის პროცესთან მიერთება ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. რაც მთავარია, ეს იყო საქართველოს ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება გამხდარიყო უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი, რადგან ჩვენ გვსურს მოდერნიზაცია. ამჟამად, დღის წესრიგში დგას აღებული ვალდებულებების მაღალხარისხიანად შესრულება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის კონტექსტში.

მასალა მოამზადა ლალი ჯელაძემ

გამოფენა

მხატვრობა – ჭეშმარიტი, თვითმყოფადი, ერთდროულად ეროვნული და თანამედროვე

მაკა ყიფიანი

ნიკო ფიროსმანაშვილის (1862-1918) შემოქმედებითი მემკვიდრეობა საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცულ 200-ზე მეტ სურათს აერთიანებს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და თიბისი ბანკის დაფინანსებით, „ფიროსმანის აღდგენის“ მასშტაბური პროექტი განხორციელდა. რესტავრაცია, ნიკო ფიროსმანის მირზაანის მუზეუმის კოლექციაში დაცულ ორო ნამუშევარს – „თამარ მეფესა“ და „შოთა რუსთაველს“ ჩაუტარდა. აღდგენილ ნამუშევრებს, საქართველოში პირველად, მირზაანის მუზეუმის კოლექციასთან ერთად, თიბისი გალერეა მასპინძლობს.

კოლექციაში დაცულ ნამუშევრებს, მათი კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები და რესტავრატორები, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან და ეროვნულ მუზეუმთან ერთად, იკვლევდნენ და სარესტავრაციო სამუშაოებიც ერთობლივად ჩაატარეს. რესტავრაციის პროცესი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში მოქმედი საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ განხორციელდა. რესტავრატორები არიან შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის სარესტავრაციო სახელოსნოს სპეციალისტები – **ნანა მანაგაძე** და **ეველინა კარსელი.** პროცესი სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის პორტრეტები ფიროსმანის მიერ 1913-1914 წლებშია შესრულებული. მირზაანის კოლექციაში ეს ნამუშევრები 1989 წელს მოხვდა. მანამდე ისინი ცნობილი ფილოლოგის, იოსებ მეგრელიძისა და თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძის კერძო კოლექციაში, შემდეგ კი ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ინახებოდა. ამ უკანასკნელმა, მოგვიანებით, ფიროსმანის „თამარი“ და „რუსთაველი“ საჩუქრად მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა. ამ დროისათვის ნამუშევრებზე უკვე ჩატარებული იყო რესტავრაცია, თუმცა, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამო, ნამუშევრები დაზიანებული იყო. ფიროსმანს ტილოები, თავის დროზე, მუყაოზე შეუსრულებია, შემდეგ არაპროფესიონალ რესტავრატორებს ხის ფირფიტაზე დაუკრავთ, რის გამოც ნახატებს ტალღოვანი დეფორმაცია გაუჩნდა, თან ავეჯის ლაქი ესვა და დაკარგული ჰქონდა კუთხეები. თავდაპირველად, სურათებს ულტრაიისფერი სხივებით ჩაუტარდა კვლევა. რესტავრაციის დაწყებამდე, მოხდა სურათების აღწერა და ფოტოფიქსაცია, ფერწერული ფენის მხრიდან გამაგრდა დაზიანებული ადგილები. სპეციალისტებმა ფიცარი დაათხელეს, მუყაო მექანიკური წესით გაათანაბრეს, დაკარგული ადგილები შეავსეს, სარესტავრაციო გრუნტი გაუკეთეს და ტილოებს პირვანდელი სახე დაუბრუნეს.

თიბისი გალერეაში, მირზაანის კოლექციაში დაცულ ფიროსმანის სხვა ნამუშევრებთან ერთად, აღდგენილი ნამუშევრების გამოფენა 2 თებერვალს გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი **მიხეილ გიორგაძე**, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი **ნიკოლოზ ანთაიძე** და თიბისი ბანკისდამფუძნებელი **მამუკა ხაზარაძე** დაესწრნენ.

მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში დაცული, რესტავრირებული ნამუშევრების გამოფენას თიბისი გალერეა 3 თებერვლიდან 16 თებერვლის ჩათვლით უმასპინძლებს. თამარისა და რუსთაველის პორტრეტებთან ერთად ექსპოზიციაზე წარმოდგენილია სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმში დაცული ნამუშევრების კოლექცია. 1960 წელს დაარსებული ფიროსმანის მუზეუმი მხატვრის სურათების გამორჩეულ კოლექციას ფლობს. ეს არის 1895-1918 წლებში, განსხვავებულ ჟანრსა და თემაზე (მასალა მუყაო, თუნუქი, მუშამბა) შესრულებული ნამუშევრები. ფიროსმანის სურათებთან ერთად, გამოფენაზე ექსპონირებულია პაბლო პიკასოს მიერ, 1972 წელს, შესრულებული ნიკო ფიროსმანაშვილის პორტრეტი. სწორედ ამ წელს, პარიზში, ილია ზდანევიჩმა წიგნად გამოსცა 1914 წელს თბილისში დაბეჭდილი სტატია ფიროსმანის შესახებ – „ნიკო ფიროსმანაშვილი. 1914“, რომლის ტირაჟიც სულ 70 ეგზემპლარი იყო. ამ წიგნისთვის, ილია ზდანევიჩის თხოვნით, პიკასომ სპეციალურად შექმნა ფიროსმანის გრაფიკული პორტრეტი, რომელიც მოგვიანებით ილია ზდანევიჩის მეუღლემ საჩუქრად გადასცა მირზაანის მუზეუმს. ფიროსმანის სურათებთან ერთად, პიკასოს ეს ნამუშევარიც კოლექციის განუყოფელი ნაწილია. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილია სურათები: „სონა უკრავს გარმონს“ – 1913 წელი; „მალაკნების ზეიმი“ – 1905 წელი; „დათვი თავისი ბელებით“ – 1912 წელი; „კალოობა“ – 1915-16 წელი; „მუშა სოსო“ – 1904 წელი და მრავალი სხვა. აღსანიშნავია, რომ გამოფენა საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს. სკოლის მოსწავლეებისთვის ეწყობა საგანმანათლებლო ტურები, რომელთა მიზანია ფიროსმანის შემოქმედების უფრო ახლოს გაცნობა. მუზეუმის გიდი მოსწავლეებს უყვება ისტორიებს ფიროსმანზე, ასევე დამთვალიერებელს საშუალება აქვს, იხილოს ანიმაცია ფიროსმანის შესახებ, რომელიც თიბისი ბანკის ინიციატივითა და დაფინანსებით შეიქმნა.

მამუკა ხაზარაძე, თიბისი ჯგუფის დამფუძნებელი: *„ჩვენ ფიროსმანის ორი ნახატის აღდგენა დავაფინანსეთ, მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელებას მომავალშიც ვგეგმავთ. რესტავრირებული სურათების გარდა, მთავარი მნიშვნელობა და დატვირთვა ამ გამოფენის ის არის, რომ 50 სკოლის (მათ შორის რაიონებიდან) მოსწავლეს საშუალება ექნება, მოვიდეს და დაათვალიეროს ეს არაჩვეულებრივი გამოფენა. ისინი გაეცნობიან მხატვრის ცხოვრებას, იმ კულტურულ მემკვიდრეობას და სიმდიდრეს, რომელიც ამ შემთხვევაში ფიროსმანის სახითაა წარმოდგენილი“.*

მიხეილ გიორგაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: *„სასიხარულოა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინიციატივითა და თიბისი ბანკის დაფინანსებით, უმნიშვნელოვანესი, მასშტაბური პროექტი ფიროსმანის ნამუშევრების აღდგენისა გრძელდება და დღეს, სხვა გამოფენებთან ერთად, ამ სივრცეში, იფინება უკვე აღდგენილი, რესტავრირებული „თამარ მეფე“ და „შოთა რუსთაველი“. როდესაც სარესტავრაციო სამუშაოებზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ სასიხარულოა, როცა საქართველოში, ამ კუთხით, უმაღლესი დონის პროფესიული რესურსი გვაქვს. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სირთულის სამუშაოების შესასრულებლად ჩვენ არ გვჭირდება უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა. ურთულესი სარესტავრაციო სამუშაოები ეროვნული მუზეუმის რესტავრატორებმა შეასრულეს, რისთვისაც მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო.“.*

ნანა მანაგაძე, რესტავრატორი: *„სარესტავრაციო სამუშაო მართლაც ურთულესი შესასრულებელი იყო. პირველ რიგში იმიტომ, რომ ნამუშევრები შესრულებული იყო მუყაოზე და დაკრული ფირფიცარზე, რომელსაც მიღებული ჰქონდა ტალღისებური დეფორმაცია. თავისთავად სურათიც დეფორმირებული იყო და დაფარული ზედაპირული ჭუჭყით, სურათებს კუთხეებში ნახევები, გარკვეული ნაწილი კი დაკარგული ჰქონდა, ჩატარებული ჰქონდა არაკვალიფიციური რესტავრაცია.*

პირველ რიგში, მოვხსენი ფირფიცარი, რაც ძალიან რთული შესასრულებელი იყო. თუმცა დავძლიე, რის შედეგადაც შეთხელდა და გასწორდა მუყაოს ზურგის მხარე და დუბლირება გაკეთდა ტილოზე. შემდეგ მოხდა დაკარგული ადგილების ჩასმა, კუთხეების შევსება, ფენის დანაკარგ ადგილებში შევიტანეთ სარესტავრაციო გრუნტი, სურათები გაიწმინდა ზედაპირული ჭუჭყისგან, გაკეთდა ტონირება, დაიფარა ლაქის დამცავი ფენით და უკვე საექსპოზიციო სახე მიეცა“.

თიბისი გალერეაში გამოფენილი ფიროსმანის ნამუშევრები დამთვალიერებელს კიდევ ერთხელ არწმუნებს იმაში, რომ ფიროსმანს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ და არა მარტო ქართულ მხატვრობაში. მხატვარმა, რომელმაც, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება ერთ ქალაქში გაატარა და არსად უსნავლია, შექმნა მხატვრობა, ჭეშმარიტი, თვითმყოფადი, ერთდროულად ეროვნული და თანამედროვე. ნიკო ფიროსმანაშვილი 1918 წელს „უსახელო“, თუმცა, გარკვეულ წრეში უკვე დაფასებული, გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ, 1969 წელს, მისი პერსონალური გამოფენა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმის – ლუვრის საგამოფენო დარბაზში შედგა.

შეხვედრა ჟურნალისტებთან

პრესკონფერენცია აქტუალურ საკითხებზე

7 თებერვალს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ პრესკონფერენცია გამართა და განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებზე ისაუბრა. „იმისთვის, რომ საზოგადოება განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმებს გაეცნოს, მედიის როლი განუსაზღვრელია. ამიტომ, დღეს ჟურნალისტებს გავაცანი რა მიმართულებით ვმუშაობთ ამ ეტაპზე. მომავალშიც სიახლეების შესახებ ინფორმაციას მედია ჩემი მხრიდან მუდმივ რეჟიმში მიიღებს. განათლების რეფორმა ყველა მიმართულებით მიდის, მინდა ვისაუბრო თემებზე, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო პერიოდში და მზად ვარ, ვუპასუხო თქვენს შეკითხვებს.“ – განაცხადა მინისტრმა და იმ ცვლილებებთან დაკავშირებულ შეკითხვებსაც უპასუხა, რომლებიც შეეხო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას, სახელმძღვანელოების გრიფირებას თუ სხვა, საზოგადოებაში აქტიურად განხილვად, მიმართულებებს. გთავაზობთ იმ საკითხებზე საუბრის ამონარიდებს, რომლებიც რედაქციამ განსაკუთრებით საინტერესოდ და აქტუალურად მიიჩნია.

მასწავლებლის სქემა

დამტკიცდა ახალი სქემა, გამოქვეყნდა და მისი ნახვის საშუალება ყველა თქვენგანს აქვს. რა არის ახალი – თუ იყო ერთი ტრაექტორია და ეს ტრაექტორია იყო საგნის გამოცდა, უნარების ტრენინგი, შიდა დაკვირვება, გაჩნდა სამი ალტერნატიული ტრაექტორია, ანუ დაემატა ორი. მეორე ტრაექტორია – პედაგოგიური უნარების გამოცდას ვაბარებთ, საგნის გამოცდის ნაცვლად, გავდივართ ტრენინგს საგანში და ისევ შიდა დაკვირვებას. მარტივად განვიხილოთ სამი პედაგოგის მაგალითზე. ვაჟა მასწავლებელმა, რომელიც ისტორიის მასწავლებელია, ისტორიის გამოცდა ჩააბარა და ათი ქულა მიიღო, შემდეგ გაიარა ტრენინგი პედაგოგიურ უნარებში – ბავშვებთან ურთიერთობა, კლასის ორგანიზება და ა.შ. მან 5 ქულა მიიღო და გაუხდა 15. შემდეგ, ორჯერ, თავისივე სკოლაში, შიდა დაკვირვება გაიარა, გაკვეთილზე დაისწრო კოლეგები, დამსწრეები, მათ შეაფასეს და მიიღო 2-2 ქულა. სულ, ჯამში, 19 დააგროვა და გახდა უფროსი მასწავლებელი. ციური მასწავლებელი გავიდა პედაგოგიური უნარების გამოცდაზე და იქ აიღო ათი ქულა, ტრენინგი თანამედროვე ქიმიის პროგრამაში გაირა და 5 ქულა მიიღო, შემდეგ ორჯერ დაისწრო კოლეგები გაკვეთილზე, ისე როგორც ვაჟა მასწავლებელმა, გაუხდა 19 ქულა და ისიც გადავიდა შემდეგ საფეხურზე. სხვანაირად მოიქცა დავით მასწავლებელი – ეს მესამე გზაა. საგნის გამოცდაზე გავიდა, 5 ქულა მიიღო, შემდეგ – პედაგოგიური უნარების გამოცდაზე, იქაც 5 ქულა მიიღო და 10 ქულა დააგროვა, მესამე ხუთი ქულა მან სხვადასხვა დამატებითი აქტივობებით მოაგროვა. სხვადასხვა აქტივობები სქემაშია ჩამოთვლილი: კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობა, ნაშრომებზე მუშაობა, მშობლებთან კონტაქტი ინდივიდუალურ რეჟიმში, ბავშვებთან მუშაობა დამატებითი კლასგარეშე აქტივოვებებით და ა.შ. მესამე ხუთი ქულა ამ აქტივობებით დაგროვა და მასაც 15 ქულა გაუხდა. შემდეგ მანაც ისევ ორჯერ დაისწრო კოლეგები გაკვეთილზე და 19 ქულა გაუხდა, ასე გადალახა საფეხური. 19 ქულა სავალდებულო მოთხოვნაა და მის გარეშე უფროსი მასწავლებლის საფეხურზე გადასვლა შეუძლებელია. უბრალოდ, აქამდე ამ 19 ქულის შეგროვების მეთოდი იყო ერთი, ახლა არის სამი. სავალდებულო ქულების დაგროვების გზა საკმაოდ რთულია. უბრალოდ, გაჩნდა ალტერნატიული გზები, რომლებიც საკმაოდ შრომატევადია.

ვფიქრობთ, 2017 წელს (ყოველ შემთხვევაში, ბიუჯეტში ასე გვაქვს) უფროსი მასწავლებელი გახდება, დაახლოებით, 4000-4500 პედაგოგი და ეს, პედაგოგების მთლიანი რაოდენობის 7-8 პროცენტია, 16 ათასზე ცოტა მეტი უკვე უფროსი მასწავლებელია. გამოვა, რომ, დაახლოებით, 20 ათასზე ავალთ და ჩვენი პედაგოგების ერთი მესამედი უფროსი მასწავლებელი იქნება. შემდგომ წლებშიც, დაახლოებით, ისეთივე ტემპს ველოდებით. თუ მომავალ წელს 20 ათასი გადავა უფროსი მასწავლებლის საფეხურზე (ასე არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა და არც ჩვენთან მოხდება), ე.ი. ძალიან გაგვიმარტივებია სქემა, მოკლედ, ეს ბარიერი ბარიერია შინაარსობრივად და, შესაბამისად, სირთულეც ახლავს.

კიდევ ერთი თავისებურება ჰქონდა ამ სქემას. რამდენჯერმე ვახსენეთ ტრენინგის გავლა, იყო ბევრი მასწავლებელი, რომელსაც გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა და ითხოვდა ტრენინგის გავლას, მაგრამ ამ ტრენინგებს ატარებდა მხოლოდ მასწავლებლის სახლი და მას კონკრეტული მოცულობა ჰქონდა, რომლის იქით ვერ ატრენინგებდა. ამანაც სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. შარშან, 2016-ში, მაგალითად, უფროსი მასწავლებლის სტატუსი მინიჭებული აქვს 800 მასწავლებელს (ცოტა მეტს), ანუ ამ ოდენობის მასწავლებელი დაწინაურდა, რაც, პრინციპში, დაბალი მაჩვენებლია. ძირითადი ბარიერი გამოცდა კი არ იყო, არამედ ტრენინგი, თუმცა ვიღაცისთვის, რა თქმა უნდა, ბარიერი იყო გამოცდა, მაგრამ ბევრი ადამიანი გვყავს, ვისაც გამოცდა ჩაბარებული აქვს და ელოდება ტრენინგებს.

რას ვცვლით ამ მიმართულებით – მასწავლებლის სახლის გარდა, ტრენინგებს სხვა ორგანიზაციებიც ჩაატარებენ. ჩვენ გვინდა, როგორც უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია ხორციელდება, ფაქტობრივად, ამავე სტილში იყოს ტრენინგების აკრედიტაციაც. ვფიქრობთ, რომ უმაღლესი სასწავლებლები აქტიურად ჩაერთვებიან ამ ტრენინგებში – ბათუმის, გორის, ქუთაისის, ახალციხის, თელავის უნივერსიტეტები, ყველა მათგანი ძალიან სერიოზულ დაინტერესებას გამოთქვამს და, ცხადია, ტრენინგების ჩატარების უნარიც აქვთ. ეს მათთვის დამატებითი შემოსავალი იქნება, რაც ასევე კარგია. საგნობრივი ასოციაციებიც, სადაც გაერთიანებული არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შეძლებენ ტრენინგების ჩატარებას. მომავალში ვგეგმავთ, რომ წამყვანი სკოლების ერთ-ერთი დატვირთვა სწორედ ეს იქნება – შეეძლებათ ტრენინგში ჩართვა, ანუ სკოლის მაღალი კომპეტენციის მასწავლებლები შეიძლება, იმ რეგიონში, ტრენერები იყვნენ. ასეთია ჩვენი ჩანაფიქრი. იმედი გვაქვს, რომ წელს 4000-4500 მასწავლებელს გავატარებთ ტრენინგს, ეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იქნება მასწავლებლების ანაზღაურების, მოგეხსენებათ, წელსაც დაემატათ იანვრიდან უფროსი მასწავლებლის დანამატი და, შესაბამისად, ეს დაწინაურება, მატერიალურად, ძალიან მნიშვნელოვან წინსვლას ნიშნავს. ტრენინგის ფულს ვიხდით ჩვენ, ანუ როგორც ფინანსდებოდა მასწავლებლის სახლი, ისევ ისე დაფინანსდება.

შემდეგი გაზრდილი ბარიერი, ანაზღაურებისთვის, საათების რაოდენობაა. მოგეხსენებათ, რომ ეს დანამატები და სრული განაკვეთის ანაზღაურებები პროპორციულად იცვლება, დატვირთვასთან ერთად. როცა ვამბობთ, რომ მასწავლებელს 800 ლარი აქვს, ვგულისხმობთ, რომ მას აქვს სრული დატვირთვა – კვირაში 18 საათი. მასწავლებლებს, რომლებსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვთ, სრული საათობრივი დატვირთვის შემთხვევაში, მიეცემათ დანამატი და გაეზრდებათ ანაზღაურება.

შაჰინის სკოლა

ჩვენ, პირველ რიგში, ვალდებული ვართ, მოსწავლის ინტერესიდან გამოვიდეთ და ამიტომ, არა მარტო შაჰინის სკოლას, არამედ ყველა სკოლას, ვისაც ავტორიზაცია ეკარგება, გადანაწილებას ვთავაზობთ. ხშირ შემთხვევაში, თუ მთელი კლასები გადადის ერთად, შეიძლება რომ პედაგოგი გადაყვეს. წესით, სკოლები ერთნაირი პროგრამებით სწავლობენ და პრობლემა არ უნდა ჰქონდეთ. ბოლო წლებში, სხვადასხვა მიზეზით, ათობით სკოლისთვის გვაქვს გაუქმებული ავტორიზაცია და არც ერთი ბავშვის სწავლის შედეგი არ დაზარალებულა.

გასაგებია მშობლების გულისტკივილი. რაც შეეხება ჩემთან შეხვედრის სურვილს, სავარაუდოდ, არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ მინისტრი ანიჭებს ან ართმევს ავტორიზაციას. ადრე მართლაც იყო ასეთი შემთხვევები, ახლა ასე არ ხდება. შესაბამისად, შეხვედრის საჭიროება თუ იქნა, აუცილებლად შევხვდები, თუმცა ეს შეხვედრა შედეგს ნამდვილად არ შეცვლის, მე არც ჩამომირთმევია არც ერთი სკოლისთვის ავტორიზაცია და არც მიმინიჭებია, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

რაც შეეხება სასამართლოს, ეს აბსოლუტურად ვალიდურია და თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საბჭომ, ან ექსპერტებმა, ან ცენტრმა რაიმე უკანონოდ გააკეთეს, გადაწყვეტილება შეიცვლება. სტატისტიკა ამოვკრიბე – ბოლო პერიოდში, ასეთი გაუქმების ყველა შემთხვევაში, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი ცდილობს, რომ შანსები მისცეს – სხვადასხვა დროს მითითებები აქვს მიცემული, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ის შემთხვევაა, როცა ამ ხალხს ან არ უღირდათ, ან არ ეგონათ, რომ მართლა ბოლომდე მივიყვანდით პროცესს კანონთან შესაბამისობაში. რა მიზეზით ფიქრობდნენ, რომ უკან დავიხევდით, არ ვიცი, მაგრამ სხვა შემთხვევებშიც (სექტემბერშიც იყო ასეთი შემთხვევა, ოქტომბერშიც, ნოემბერშიც და აი, ახლა, იანვარში – შაჰინის სკოლა და კიდევ ერთი სკოლაა, მასთან ერთად) ყველა ამბობს, აი, ცოტა რომ ეცლიათ... უკვე ნაცადია, ყველა გაფრთხილებულია, ინფორმაცია მიწოდებულია, დეტალური განმარტებებია გაკეთებული და არც ერთი ბავშვი, მისი სასწავლო შედეგებით, არ დაზარალებულა.

მინდა, ხაზი გავუსვა ერთ რამეს – არაავტორიზებულ სკოლას შეუძლია იარსებოს. წესი ასეთია, მე შემიძლია გავაკეთო სკოლა და ავტორიზებული არ იყოს, არ მივიღებ ვაუჩერს და მისი ატესტატი არ იქნება აღიარებული. სკოლის ავტორიზაციის ჩამორთმევა, ავტომატურად, მის დახურვას არ გულისხმობს. მაგალითად, აიბი სკოლები, რომლებიც ძალიან მაგრები არიან, სხვა პროგრამებით სწავლობენ, სხვა საგნებია, სხვა საათობრივი დატვირთვა, სხვა სახელმძღვანელოები და ამიტომ, მათ ავტორიზაცია არ აქვთ. მიუხედავად ამისა, წლებია, წარმატებულ სკოლებად ითვლებიან, მაგალითად, ევროპული სკოლა აიბი სკოლაა, მის ქართულ სექტორს აქვს ქართული ავტორიზაცია, ინგლისურ სექტორს – არ აქვს, მიუხედავად ამისა, არსებობს. შესაბამისად, რაც შეეხება ბათუმის თურქულ სკოლას, ჩვენ ვიცით მათი განზრახვის შესახებ, რომ სურთ გაიარონ ავტორიზაცია და გახდნენ სრულფასოვანი, ქართულსექტორიანი სკოლა. თუ ავტორიზაციას ვერ გაივლიან, შეუძლიათ, დარჩნენ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც არიან – თურქულ სკოლად. თუ სხვა რომელიმე კანონს არ დაარღვევენ, არავინ არაფერს დაუშლის. ავტორიზაციის მიცემა-არმიცემა, შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტის აკრედიტაციასავითაა, ჟურნალისტად რჩები, უბრალოდ იმ კონკრეტულ ღონისძიებაში არ მონაწილეობ. დაახლოებით ასეა. ამიტომ, ამის თქმა, რომ სკოლა დაიხურა და განადგურდა, არ შეიძლება. მეორე მხრივ, გასაგებია მშობლის სურვილი, რომ მისი შვილი თუ სწავლობს და ამდენ ძალისხმევას ხარჯავს, კარგია, სწავლობდეს ისეთ სკოლაში, რომელიც სახელმწიფოს მიერაა აღიარებული და ავტორიზებული. ბევრ სკოლას, ამ მიზეზით, შეუმცირდა მოსწავლეების რაოდენობა, ზოგს საერთოდ გაუნულდა. ჩვენ ვაცხადებთ, თუ ბავშვებს სურვილი ექნებათ, გადავიდნენ სხვა სკოლაში, არც ერთ ბავშვს პრობლემა არ შეექმნება.

აბსოლუტურად ყველა სკოლა დაიხურება, ქართველმოსწავლეებიანი, თურქმოსწავლეებიანი, უკრაინელ და ყველა სხვა ეროვნების მოსწავლეებიანი, რომელიც კანონთან არ იქნება შესაბამისობაში. პოლიტიკური მიზეზი, რომელზეც აპელირებენ, უსაფუძვლოა, ასეთი მიზეზი არ არსებობს. თუ დემირელის სკოლას დაუმთავრდება ავტორიზაცია, ის აუცილებლად ხელახლა შემოწმდება და თუ არ იქნება კანონთან შესაბამისობაში, აუცილებლად გაუუქმდება ავტორიზაცია ისევე, როგორც ყველა სხვა სკოლას საქართველოში. რაიმე მიზეზი, რომ კონკრეტულად დემირელზე ვიფიქროთ, პრობლემა შეექმნება თუ არა, ამ წუთას არ გვაქვს, იმიტომ რომ, დემირელის სკოლა ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი აკადემიური შედეგებით და ძალიან ბევრი დადებითი რამ აქვს გაკეთებული პროგრამების ნაწილში და სხვა ნაწილშიც. თუმცა, ხაზი მინდა გავუსვა ერთ რამეს, დემირელის სკოლა იქნება, კომაროვის, ქართულ-ამერიკული აკადემია თუ სხვა, თუნდაც ყველაზე საუკეთესო სკოლა, არავის აძლევს უფლებას, რომ კანონის მოთხოვნებს უპასუხისმგებლოდ მოეკიდოს.

უმაღლესი სასწავლებლების ნაწილშიც, სკოლებისა და პროფესიული კოლეჯების ნაწილშიც ძალიან სერიოზულად და საბრძოლოდ ვართ განწყობილი, არანაირ დათმობაზე არ წავალთ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს სტანდარტები არ არის ძალიან მაღალი. საიდან მოვიდა მოსწავლე, როდის ჩაირიცხა, მართლა ნასწავლი აქვს თუ არა ის პროგრამა, რომელშიც ატესტატს აძლევ – ეს აუცილებელი პირობებია. მე აქ მაქვს შაჰინის სკოლის დასკვნიდან (რომელიც თქვენც შეგიძლიათ გამოითხოვოთ) რამდენიმე ამონარიდი – ქართულის არცოდნის გამო მოსწავლეები ვერ ითვისებდნენ პროგრამას და ხანგრძლივი გაცდენები ჰქონდათ, ამიტომ (ეს კანონშიც წერია) ან ექსტერნი უნდა ჩაებარებინათ, ან კლასში უნდა დარჩენილიყვნენ. არც ერთი არ აქვს გაკეთებული და არც მეორე, მოსწავლე ისეა გადასული კლასიდან კლასში, ეს ჩვეულებრივი დარღვევაა და პოლიტიკასთან თუ ეკონომიკასთან, რა კავშირი აქვს არ ვიცი. არ ასწავლიდნენ და ამბობდნენ, ვასწავლითო, შესაბამისად, თუ ვინმეს ასეთი ჭკვიანური რამე მომავალში მოაფიქრდება, აუცილებლად დაისჯება.

სტატისტიკა ასეთია: 2017-ში ორ სკოლას – შაჰინს და ჯივიენს, 2016-ში – ორ სკოლას გაუუქმდა ავტორიზაცია და შვიდ სკოლას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე. გამოდის, რომ 2016 წლის დასაწყისიდან დღემდე, სულ, 11-მა სკოლამ ვერ მიიღო ავტორიზაცია.

სახელმძღვანელოების გრიფირება

დიდი იმედი მაქვს, რომ გრიფირება ერთ კვირაში გამოცხადდება. გამომცემლები მოამზადებენ სახელმძღვანელოებს, რომლებიც 2017-2018 სასწავლო წელს ხელმისაწვდომი იქნება გასაცნობად, დაბეჭდილი სახელმძღვანელოები კი სკოლებში 2018-2019 სასწავლო წელს შევა.

გრიფირების ახლად დამტკიცებულ წესში სიახლეა – გამომცემელი იღებს ვალდებულებას, რომ თავის სახელმძღვანელოში, ერთი წლის განმავლობაში, შეიტანოს შინაარსობრივი ცვლილება, რასაც შესთავაზებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, პედაგოგები, სამინისტროს წარმომადგენლები თუ სხვ. შესაბამისად, გამოდის, რომ ჩვენ თუ სექტემბერში შევთავაზებთ, ბეჭდური ან ელექტრონული სახით, სახელმძღვანელოს ნიმუშს (ტირაჟი არ დაიბეჭდება და სკოლაში არ დარიგდება), ორი თვეს მოვიგებთ იმიტომ, რომ ორი თვით ადრე უნდა დაბეჭდილიყო და დარიგებულიყო. ამიტომ, ჯერ ერთი, მეტი დრო აქვს გამომცემლობას, რომ სახელმძღვანელოზე იმუშაოს და მეორე, ეს სახელმძღვანელო საბოლოო ვერსია კი არ არის, ასე ვთქვათ, მომზადებული ვერსიაა, რომლისთვისაც კიდევ ერთი წელი აქვს, რომ ამ ფიდბექის საფუძველზე განაახლოს. ამას გრიფირების პირობაში ვდებთ, სახელმძღვანელოს გრიფი უკვე მინიჭებული აქვს, უკვე ჩათვლილია, რომ შეესაბამება სტანდარტს, ოღონდ ვალდებულება აქვს მიყოლებული, რომ ამ ერთ წელიწადში კიდევ დაიხვეწოს.

როდის უნდა წარმოადგინონ გამომცემლებმა სახელმძღვანელოები, ამასთან დაკავშირებით შემდეგ კვირაშიც გვექნება კონსულტაციები. 15 აპრილზე იყო ლაპარაკი, თუმცა 15 აპრილამდე უკვე ვერაფერი მოესწრება. ახლა უნდა შევთანხმდეთ ახალ ვადებზე.

პრაქტიკულად, 20-ზე მეტი გამომცემლობა, ვინც ჩვენს შეხვედრებს ესწრება, აპირებს მონაწილეობას (ზოგი ბევრ სახელმძღვანელოს მოამზადებს, ზოგი – ნაკლებს). ვაპირებთ სამი საუკეთესო სახელმძღვანელო ავარჩიოთ თითო კატეგორიაში, სადაც არჩევანი იქნება. მინისტრს აქვს დისკრეციის უფლება, რომელსაც იმ შემთხვევაში გამოვიყენებ, თუ ვნახეთ, რომ დავრჩით უსახელმძღვანელოდ. ასეთი რისკი არსებობს, დამდგარა ასეთი რისკი სხვა ქვეყნებში. თუ რომელიმე კატეგორიაში არავინ შემოიტანა, უფრო სწორად, შემოიტანა, მაგრამ ყველა დაიწუნეს, ერთი ალტერნატივაა, რომ თქვა, არ გვექნება სახელმძღვანელო რომელიმე საგანში, რაც შეუძლებელია და მეორე ალტერნატივაა, გამოიყენო დისკრეციის უფლება. მთლიანობაში პროცესი უნდა გაიხსნას. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც იცვლება, ის არის, რომ გვინდა გრიფირება ყოველწლიურად გამოვაცხადოთ და არა ექვსი წლის ინტერვალით (ვიღაც მომავალ წელს შემოვა კარგი სახელმძღვანელოთი, მერე – კიდევ სხვა და ა.შ.). მართალია, ამით ხარჯი ცოტა გაგვეზრდება, იმიტომ რომ, მარაგებით ბეჭდვა ნაკლებად მოხდება, მაგრამ, სამაგიეროდ, ხარისხი გაგვეზრდება რადიკალურად. მარაგებით ბეჭდვა ისედაც პრობლემაა, მეცნიერებებში ისეთ ტემპში იცვლება ყველაფერი, რომ შარშანწინდელი სახელმძღვანელო მაინც მოძველებულია.

გრიფირება სახელმძღვანელოს ექვსი წელი ექნება, მაგრამ ექვს წელიწადში ერთხელ კი არა, შეიძლება ყოველწლიურად მოხდეს. ვთქვათ, გამომცემელმა ნახა, რომ მისმა სახელმძღვანელომ გრიფირება ვერ გაიარა, სხვა გამომცემლობების სამმა სახელმძღვანელომ გაიარა, ჩაუჯდება და, შემდეგ წელს, ამ სამზე მაგარს შემოიტანს, მიიღებს გრიფს და შევა სკოლაში.

მოამზადა ლალი ჯელაძემ

მედიაწიგნიერება

ნიადაგის ბინადარი

მასწავლებელი – დალი კირვალიძე-ტომარაძე
სკოლა – იტალიური სკოლა „ცისკარი“
კლასი - მესამე
საგანი - ქართული- ბუნებისმეტყველება

სასწავლო მიზნები – მოსწავლემ წაიკითხოს და გაიაზროს ტექსტი. დასვას კითხვები და კითხვებზე პასუხი იპოვოს იქვე ტექსტში, ვიდეოფილმში. შეძლოს ტექსტში აღმოაჩინოს მცდარი ინფორმაცია და დოკუმენტური ფილმის დახმარებით
დაასაბუთოს, რომ ის მცდარია. შეძლოს იმსჯელოს ნიადაგში მცხოვრებ ცოცხალ ორგანიზმებზე ((ქართ. III. 4. ქართ. III. 5.ქართ. III. 7. ბუნ.III.1. ბუნ.III.2.).

მედიაწიგნიერების მიზანი – მედიის მიერ (ნაბეჭდ მასალაში და დოკუმენტურ ფილმში) გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

- **ქარცი ჭიანჭველა** – ჭიანჭველას ერთ-ერთი სახეობა.
- **დიამეტრი** – სწორი მონაკვეთი, რომელიც აერთებს წრის ორ წერტილს და გადის მის ცენტრში.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

- ტექსტები,
- ვიდეოფილმი,
- ბუნებისმეტყველების III კლასის სახელმძღვანელო.

გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა
აქტივობა პირველი – (5წთ)
მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს კითხვით: *თქვენი აზრით, არის სიცოცხლე ნიადაგში?*

სავარაუდო პასუხები:

✔ *მე მინახავს ჭიაყელა, მე ჭიანჭველები, ხის ფესვები და ა.შ*

✔ *მელა, ტყის თაგვი, ნუტრია, ზღარბი... სახლს მიწაში იკეთებენ.*

აქტივობა მეორე – (5წთ) ტექსტზე მუშაობა
მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წითელი ფერის ავტოკალმებს (ლურჯი ფერის თვითონ აქვთ) და სთხოვს, წაიკითხონ ტექსტი, რომელიც 5 წლის ანას სატელეფონო საუბარს ასახავს და მოსწავლეებს სთხოვს, კითხვის პროცესში:

✔ ანას დასმული კითხვები გახაზონ ლურჯი კალმით;

✔ ანას მცდარი შეხედულებები/რაშიც არ ეთანხმებიან, გახაზონ წითელი კალმით.

ანას საუბარი უფროს დასთან

ნინო როგორ ხარ? ძალიან მომენატრე, მალე ჩამოდი! მინდა შენც აქ იყო; რომ იცოდე როგორ მჭირდები. ბედნიერი ხარ, რომ კითხვა იცი. მე კი ვსწავლობ... ბუნებას ვაკვირდები, ყველაფერი მაინტერესებს, ხან ბებიას ვეკითხები, ხან ბაბუას, ჩემთვის არავის სცალია. წიგნის თაროებთან მივდივარ, სურათებს ვათვალიერებ, მაგრამ მაინც ვერაფერს ვხვდები, ისევ ეზოში გავდივარ.

– იცი რა დამემართა?!
– შემთხვევით ჭიანჭველების ბუდეს ფეხი დავადგი.
– დაიშალა, შიგ რაღაც თეთრი მარცვლები ეყარა...
– ნეტავ რა იყო?
– მტვერი?
– ასე უაზროდ რატომ დაძვრებოდნენ?
– ხეებზე რაღა უნდათ?..

გავიქეცი, ფეხებიდან მოვიცილე, ბუდეს რომ არ მიაგნონ შორს გადავყარე, საქანელასთან მისასვლელ ბილიკზე რომ გავივლი იქ აღარ იქნებიან... ბუდეში ხომ აღარ დაბრუნდებიან? მოვიცილე ჭიანჭველები და გავიქეცი.

მერე ფეხი რაღაც ამობურცულს წამოვკარი, ბალახში ვერ დავინახე, თურმე თხუნელას ამოუთხრია. რატომ თხრის? ალბათ მიწიდან ამოსვლა უნდა. მე მგონი მიწაში ჰაერი არაა, ჩაისუნთქავს და ჩავა. მიწაში არც წყალი იქნება, არც სითბო, ალბათ ძალიან სცივა. ამოვა, წყალს დალევს, გათბება, საჭმელსაც მოძებნის, აბა მიწაში რა უნდა ჭამოს? რაღა ახლა მოუნდა ამოთხრა? ამოეხედა, დავენახე, გავეტარებინე და მერე დაეწყო თხრა! კიდევ კარგი არაფერი ვიტკინე.

მე თხუნელა მაწუხებს, ბებიას ჭიანჭველები, სამზარეულოში ხან რას დაერევიან, ხან რას!

ნეტავ რა საჭიროა თხუნელა, ან ეს ჭიანჭველები? იქნებ რამე მოძებნო, წაიკითხო და ხვალ მომიყვე, დამარიგო როგორ მოვიქცე? დამირეკე!

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მათ მიერ შესრულებული სამუშაო გადაიტანონ გამზადებულ ცხრილებში და ურიგებს მათ გამზადებულ სქემებს, რომელშიც მოსწავლეებს გადააქვთ ხაზგასმული მასალა.

აქტივობა მესამე – (10წთ) ტექსტზე მუშაობა
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ ნინოს პასუხი, რომელიც ანიმ მიიღო და ამ ტექსტზე დაყრდნობით დაასრულონ წინა აქტივობისას დარიგებული ცხრილები; ანუ ტექსტის მიხედვით უპასუხონ ანას კითხვებს და ტექსტის მიხედვით დაუსაბუთონ ანას, რაში ცდებოდა.

ნინოს პასუხი

ნიადაგი მრავალი ცხოველის საარსებო გარემოა. მართალია მიწაში სინათლე ვერ აღწევს, იქ მობინადრე ცხოველებს მხედველობა სუსტად აქვთ განვითარებული. მათ საკვების მოძიებაში და გზის გაკვლევაში კარგი ყნოსვა და მგრძნობელობა ეხმარება. ნიადაგში ბინადარ ცხოველებს საკმარისად აქვთ ჰაერი, წყალი, სითბო და საკვები.

*ნიადაგში ცხოვრებას კარგად ეგუება **თხუნელა**, საკვების საშოვნელად თხუნელა უამრავ ხვრელს თხრის და აქეთ-იქით მოხერხებულად დაძვრება. ის ნიადაგში ბინადარი მწერებით, მათი მატლებით და ჭიაყელებით იკვებება. ის საკვებს ყნოსვით ეძებს, თვალები კანით აქვს დაფარული და თვალის ჭრილი არ გააჩნია. ბეწვი შავია, მორუხო ელფერით. მავნე მწერებისა, მათი მატლების დიდი რაოდენობის მოსპობით სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისა და ტყის მეურნეობისათვის. გასასვლელების გათხრისას ზოგჯერ აზიანებს მცენარეების ფესვებს, აუარესებს ნიადაგის ზედაპირს.*

***ჭიანჭველას** ყველგან ვხვდებით: ბაღში, ტყეში, მდელოზე, ჭაობში, ველებსა და უდაბნოში. საოცრად მშრომელი და წესრიგის მოყვარული მწერები არიან. მათ სხვადასხვა ზომის ბუდე აქვთ. ქარცი ჭიანჭველას (ერთ-ერთი სახის ჭიანჭველაა) ბუდის სიმაღლე 1-1,5 მეტრია, ხოლო დიამეტრი – 1 მ. ზაფხულში სიცხისას ბუდეს ზრდიან სიგრილისთვის, ზამთარში კი სითბოს შესანარუნებლად აპატარავებენ. ჭიანჭველას ბუდეში 300.000-მდე ჭიანჭველა ცხოვრობს.*

ერთ ოჯახს სეზონის განმავლობაში (აპრილიდან-ოქტომბრამდე) შეუძლია 3-5 მილიონი მავნე მწერის განადგურება. მიწაშიც, ხეებზეც და ხის ღეროებზე.

იტალიელი მეცნიერები ხელოვნურ ბუდეებს ქმნიან, ამ ბუდეებში ამრავლებენ ჭიანჭველებს. ჭიანჭველა კარგად იმახსოვრებს თავის ბუდეს და საგრძნობლად მოშორებულ ადგილიდანაც კი პოულობს სახლისკენ მიმავალ გზას. ამაში ულვაშები ეხმარება – რითაც ჰაერს ყნოსავს და აგნებს ბუდეს. ის თავგამოდებით იცავს ბუდეს და ბუდეში არსებულ თეთრ მატლებსა და კვერცხის ფორმის თეთრ ჭუპრებს.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და მუშაობენ მასწავლებლის მიერ დარიგებულ სქემებზე, მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

ცხრილი 1

რა კითხვები აქვს ანას?	რა უპასუხა ნინომ?
✔ **რა არის ჭიანჭველას ბუდეში ჩაყრილი თეთრი მარცვლები?** ✔ **ჭიანჭველები ასე უაზროდ რატომ დაძვრებოდნენ?** ✔ **ბუდეში ხომ აღარ დაბრუნდებიან?** ✔ **რა საჭიროა ჭიანჭველა?** ✔ **რატომ თხრის მიწას თხუნელა?** ✔ **თხუნელამ მიწაში რა უნდა ჭამოს?** ✔ **რაღა ახლა მოუნდა ამოთხრა? რატომ ვერ დამინახა?** ✔ **რა საჭიროა თხუნელა?**	✔ ნიადაგში ჩაყრილი თეთრი მარცვლები მტვერი კი არა, ჭიანჭველების კვერცხებია. ✔ ჭიანჭველები უაზროდ არ დაძვრებიან; ჭიანჭველა საოცრად მშრომელი, მოწესრიგებული და სასარგებლო მწერია. ✔ ჭიანჭველა დიდი მანძილის დაშორებითაც პოულობს ბუდეს. ✔ თხუნელა საკვების საშოვნელად უამრავ ხვრელს თხრის და იმ ამოთხრილ მიწას ზემოთ ყრის. ✔ თხუნელა იკვებება მიწაში არსებული მწერებით, მატლებით და ჭიაყელებით. ✔ თხუნელა ანადგურებს მავნე მწერებს; ამით მას სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის.

ცხრილი 2

რაში ცდება ანა?	რა უპასუხა ნინომ?
✔ **ჩამოიბერტყა ჭიანჭველები, იმ ადგილს მოაცილა და ჰგონია, ვეღარ დაბრუნდებიან ბუდეში, ვეღარ მიაგნებენ, გზა აერევათ.** ✔ **თხუნელა იმიტომ თხრის, რომ მიწიდან უნდა ამოსვლა.** ✔ **მიწაში არ არის: ჰაერი, წყალი, სითბო, საჭმელი.** ✔ **თხუნელას შეუძლია დაინახოს ადამიანი.**	✔ ჭიანჭველები დაბრუნდებიან, ამის უნარი აქვთ. ✔ თხუნელა თხრის, რადგან ამით გასასვლელ გზებს იკეთებს. ეს გზები კი იმისთვის სჭირდება, რომ საკვები მოიპოვოს. ✔ მიწაში სიცოცხლისთვის ყველაფერია: წყალი, ჰაერი, სითბო, საკვები. ✔ თხუნელას თვალებზე კანი აქვს გადაკრული და ადამიანს ვერ დაინახავს.

აქტივობა მეოთხე – (10წთ) დოკუმენტური ფილმების ნახვა
მასწავლებელი მოსწავლეებს თანმიმდევრობით სთავაზობს მცირე დოკუმენტურ ფილმებს და სთხოვს, ყურადღებით დააკვირდნენ მასალას.

✔ https://www.youtube.com/watch?v=UozWJTuhbMQ

ვიდეოში ჩანს, როგორ ცხოვრობენ ტყის ჭიანჭველები, მოწესრიგებულად დადიან, გამხმარ ტოტებს და ფოთლებს იყენებენ საკვებად და ამით ტყეს ასუფთავებენ. თავისზე დიდი ზომის საგნების გადაზიდვა შეუძლიათ.

✔ http://www.arkive.org/mole/talpa-europaea/video-00.html

ვიდეოში ჩანს, როგორ ცხოვრობს თხუნელა მიწის ქვეშ: როგორ მოძრაობს, როგორ იკვებება, დროდადრო როგორ ამოყოფს თავს მიწის ზედაპირზე.

✔ https://www.youtube.com/watch?v=sAFOS4UBgTw

ვიდეოში ჩანს, როგორი სახლი აქვთ ტყის ჭიანჭველებს.

აქტივობა მეხუთე – (10 წთ) საინფორმაციო მასალის მომზადება
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაკითხული და ნანახი მასალების გამოყენებით და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით – შეავსონ დარიგებული სქემები წყვილებში და წარმოადგინონ (მრავალრიცხოვან კლასებში პრეზენტაციის ფორმატი შესაძლოა იყოს ე.წ. „გალერეა“).



მოსწავლეთა წყვილები/ჯგუფები/ წარმოადგენენ შესრულებულ სამუშაოს.

საშინაო დავალება (2წთ): მოპოვებული ინფორმაცია გაამყარეთ ბუნების სახელმძღვანელოში არსებული ინფორმაციით; თქვენ თვითონ მიხვდით, რომელი გაკვეთილი შეესაბამება ამ ინფორმაციას (ცხოვრება ნიადაგში გვ. 52). გაიხსენეთ ტექსტში წაკითხული ცნობები, ვიდეომასალა. შეაჯამეთ და ისწავლეთ გაკვეთილი. შეგიძლიათ ინფორმაცია გადააამოწმოთ. წაიკითხეთ არნოლდ გეგეჭკორის – „დედაბუნება“, ენციკლოპედია. შემდეგ გაკვეთილზე ვიმსჯელოთ.

შეფასება – 3 წუთი
მასწავლებელი მოსწავლეებს შეაფასებს განმავითარებელი შეფასებით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) მოსწავლემ როგორ მონიშნა ტექსტში დასმული კითხვები;

2) მოსწავლემ როგორ მონიშნა მცდარი ინფორმაცია;

3) როგორ მოიპოვა მეორე ტექსტში დასმულ კითხვებზე პასუხი;

4) როგორ გამოიყენა მცდარი ინფორმაციის გასაბათილებლად ვიდეომასალის და ტექსტის არგუმენტები;

5) როგორ შეაჯამა მასალა და შექმნა თემატური საინფორმაციო პოსტერი.

მედიანწიგნიერება

შეფასების რუბრიკა

№	კრიტერიუმები	დაბალი	საშუალო	მაღალი
1	მოსწავლემ როგორ მონიშნა ტექსტში დასმული კითხვები	ვერ შეძლო მონიშვნა	ნაწილობრივ შეძლო კითხვების მონიშვნა	უშეცდომოდ შეძლო კითხვების მონიშვნა
2	მოსწავლემ როგორ მონიშნა მცდარი ინფორმაცია	ვერ შეძლო	ნაწილობრივ შეძლო მცდარი ინფორმაციის მონიშვნა	უშეცდომოდ შეძლო მცდარი ინფორმაციის მონიშვნა
3	როგორ მოიპოვა მეორე ტექსტში დასმულ კითხვებზე პასუხი	ვერ შეძლო	ნაწილობრივ შეძლო დასმულ კითხვებზე ტექსტში პასუხის პოვნა	უშეცდომოდ შეძლო დასმულ კითხვებზე ტექსტში პასუხის პოვნა
4	როგორ გამოიყენა მცდარი ინფორმაციის გასაბათილებლად ვიდეომასალის და ტექსტის არგუმენტები	ვერ შეძლო	ნაწილობრივ შეძლო ვიდეომასალის და ტექსტური მასალის არგუმენტებად გამოყენება	სრულყოფილად შეძლო ვიდეომასალის და ტექსტური მასალის არგუმენტებად გამოყენება
5	როგორ შეაჯამა მასალა და შექმნა თემატური საინფორმაციო პოსტერი	ვერ შეძლო	ნაწილობრივ შეძლო შეჯამება და თემატური პოსტერის დამზადება	წარმატებით შეაჯამა მასალა და შექმნა თემატური პოსტერი

გამოყენებული მულტიმედია რესურსები:

1. https://www.youtube.com/watch?v=UozWJTuhbMQ – ვიდეოში ჩანს, როგორ ცხოვრობენ ტყის ჭიანჭველები. მოწესრიგებულად დადიან, ტყის გამხმარ ტოტებს და ფოთლებს იყენებენ საკვებად და ამით ტყეს ასუფთავებენ. თავისზე დიდი ზომის საგნების გადაზიდვა შეუძლიათ.
2. http://www.arkive.org/mole/talpa-europaea/video-00.html – ვიდეოში ჩანს, როგორ ცხოვრობს თხუნელა მიწის ქვეშ: როგორ მოძრაობს, როგორ იკვებება დროდადრო როგორ ამოყოფს თავს მიწის ზედაპირზე.
3. https://www.youtube.com/watch?v=sAFOS4UBgTw – ვიდეოში ჩანს, როგორი სახლი აქვთ ტყის ჭიანჭველებს.

შენიშვნები:

დაკვირვების, მსჯელობის, კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის ასეთ გაკვეთილებს დიდი მნიშვნელობა აქვს. მიზნობრივი ტექსტების, ტექნოლოგიებისა და სქემების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, საგაკვეთილო პროცესში მათ აქტიურად ჩართვას და, შესაბამისად, მასალის უკეთ გაგება-გააზრებას.

ინფორმაცია

ბაქსვუდის სკოლის მოსწავლეების წარმატება

ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისის მოსწავლეთა დელეგაცია, 1-4 თებერვალს, ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში გამართულ გაეროს მოდელირების კონფერენციაზე, აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო დელეგაციად აღიარეს და ჯილდო გადასცეს.

კონფერენცია გაეროს ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის მიერ იყო ორგანიზებული და მასში მსოფლიოს 65 ქვეყნის 850-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა. საქართველოს სახელით, კონფერენციაში 12 ბაქსვუდელი მოსწავლე მონაწილეობდა. მათ შორის ორმა – **რატი ფიფიამ** და **გიორგი არაშიძემ** საუკეთესო დიპლომატის ჯილდოები მიიღეს, ხოლო კიდევ ორმა – **ირაკლი სვანიძემ** და **ლუკა ზედგინიძემ** კონფერენციის სამდივნოსგან განსაკუთრებული საჯარო შექება დაიმსახურეს – Honorable Mention.

საერთაშორისო არენაზე ქართველი ბავშვების ამ უპრეცედენტო გამარჯვების შესახებ სოციალურ ქსელში სკოლის დირექტორმა და დელეგაციის ხელმძღვანელმა **არჩილ სუმბაძემ** დაწერა. *„გილოცავთ სრულიად დამსახურებულ გამარჯვებას! მართლაც ისტორიულ მოვლენას, რადგან გახდით პირველი ქართველი მოსწავლეები, რომელთაც ეს ტიტული ამხელა მასშტაბზე მოიპოვეს. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი, ვიყო თქვენი დირექტორი და მასწავლებელი! მომავლისკენ კიდევ უფრო დიდი გამარჯვებებია და ამას ვერაფერი დაუდგება წინ!!! მეამაყებით და მაბედნიერებთ!“*



ქართული სამზარეულოს პოპულარიზაცია

ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ მზარეულის სპეციალობის სტუდენტები საერთაშორისო ფესტივალიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ.

ესტონეთის ქალაქ პიარნოში გამართული ფესტივალის ფარგლებში, მზარეულის კონკურსი ჩატარდა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს კერძების გრილზე მომზადებაში ეჯიბრებოდნენ. ქართველმა სტუდენტებმა II საპრიზო ადგილი მოიპოვეს და პრიზებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. ფესტივალის ფარგლებში, „ახალი ტალღის“ სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ვალგაში მიმდინარე ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, პოპულარიზაცია გაუწიეს ქართულ სამზარეულოს და ქართული კერძები წარმოადგინეს.

თვალსაზრისი

ქართული როგორც მეორე ენა

ქართული ენის სწავლებას არაქართულენოვან სექტორში დიდი ყურადღება ეთმობა როგორც საბაზო, ისე საშუალო საფეხურზე. ჩემი არაქართულენოვანი მოსწავლეები წარმატებას აღწევენ არა მარტო სასწავლო პროცესში, არამედ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობით სარაიონო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, დაჯილდოებული არიან დიპლომებით, კარგად აბარებენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს და სწავლას აგრძელებენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. წარმატების მთავარ პირობად კი, პირველ რიგში, ეთერ გულდამაშვილის, ლილი წულაძის, მიხეილ ჩინჩალაძისა და როზა გაბეჩავას ავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოები მიმაჩნია, სადაც თანმიმდევრულად და გასაგებადაა მოცემული (საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის) ლიტერატურული და გრამატიკული მასალა. სამწუხაროდ, ეს სახელმძღვანელოები 2003 წლის შემდეგ აღარ გამოსულა, ამიტომ ჩემი მოსწავლეები, უკვე წლებია, დაქსეროქსებული „წიგნებით“ სწავლობენ. რაც შეეხება „თავთავს“, მე მას როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს ისე ვიყენებ, რადგან მიმაჩნია, რომ „თავთავი“ ვერ მისცემს მოსწავლეს იმ ცოდნას, რაც აუცილებელია საატესტატო და ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისათვის. თუმცა, ვფიქრობ, რომ ის კარგი სახელმძღვანელო იქნება აზერბაიჯანელი და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის.

ჩემი თხოვნაა, ხელახლა გამოიცეს ზემოთ მითითებული ავტორების სახელმძღვანელოები, რადგან მასწავლებელიც და მოსწავლეებიც ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდეთ დაქსეროქსების რთული და ხარჯიანი პროცესისგან. ესეც რომ არ იყოს სახელმწიფო ენის შესწავლისთვის კარგი სახელმძღვანელო ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მერი ბეჭანიძე
ქობულეთის ილია ჭავჭავაძის სახელობის
№2 საჯარო სკოლის
რუსული სექტორის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სპორტი

ძიუდოისტი გოგონები იზრდებიან

ამ დღეებში, თბილისში, ძიუდოს აკადემიაში, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა ასაკში, გოგონებს შორის, რომელშიც 60-მდე მონაწილე გამოვიდა. ვაჟთა ძიუდოსთვის ეს ნამდვილად არაა დიდი ციფრი, მაგრამ ქალთა ძიუდოსთვის მიღწევაა. სასიამოვნოა, რომ ძიუდოსადმი ინტერესი გოგონებში განუხრელად იზრდება – რამდენიმე წელიწადში ეს აუცილებლად გაზრდის კონკურენციას ეროვნულ ნაკრებში, რადგან წარმატების საწინდარი სწორედ ბავშვთა სპორტია; სწორედ ესაა ის საძირკველი, რომელსაც უნდა დაეშენოს ეროვნული გუნდი. საბედნიეროდ, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის დიდი მცდელობით, ძიუდო უკვე ქვეყნის ბევრ სკოლაში შევიდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გოგონები ბიჭებზე ნაკლებად ნამდვილად არ ამჟღავნებენ კიმონოს ჩაცმის სურვილს. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ საქართველოშიც იცვლება კონსერვატიული დამოკიდებულება ქალთა ჭიდაობისადმი, ყინული ლღვება და მშობლები სულ უფრო ნაკლებად ეწინააღმდეგებიან ქალიშვილების ჭიდაობით გატაცებას. ასეთი მიდგომა ქალთა ძიუდოშიც, სამბოშიც და თავისუფალ ჭიდაობაშიც კიდევ უფრო გაზრდის მასობრიობას.

ყოველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ გითხარით, ჭაბუკთა ეს ჩემპიონატი მონაწილეთა სიმრავლით გამოირჩა და სწორედ ამან განაპირობა, რომ შეჯიბრებები ყველა წონაში გაიმართა, რაც წინა წლებში ხშირად ჭირდა. ადრე ისეც ხდებოდა, რომ ერთი შეხვედრითაც ხდებოდნენ მედალოსნები. ზოგიერთ წონაში ახლაც ცოტა მონაწილე იყო, თუმცა საკმარისი რაოდენობა ყველგან მოგროვდა.

გარკვეულწილად, ეს ჩემპიონატი ოჯახური დინასტიების გამოდგა, რადგან იასპარეზეს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერების, ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონ **მზია ბებოშვილისა** და ჭაბუკებში მსოფლიოს ფინალისტ **სოფიო სომხიშვილის**, აგრეთვე სამბოში უფროსებში ევროპის მედალოსან **შორენა შარაძის** უმცროსმა დებმა. წარმატებითაც იჭიდავეს: 57 კილოგრამში **ელენე ბებოშვილი** ფინალში დამარცხდა, **ხატია შარაძე** მესამე იყო, ხოლო **გვანცა სომხიშვილი** მძიმე წონაში გავიდა მეორეზე.

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: **ნინო წერეთელი** (40), **ანა ასანიშვილი** (44), **სალომე ბლიაძე** (48), **მარიამ გურგულიანი** (52), **თინათინ რევაზიშვილი** (57), **ინდირა სილაგაძე** (63), **მარიამ თეთრაძე** (70) და **სალომე მაყიშვილი** (+70). ისინი, ნაკრების სხვა კანდიდატებთან ერთად, ევროპის ჩემპიონატისთვის გააგრძელებენ მზადებას და, უახლოეს პერიოდში, გორში გაივლიან შეკრებას, სადაც ახალგაზრდული ნაკრების წევრებთან ერთად ივარჯიშებენ. ასეთი გაერთიანება, დიდწილად, იმითაა განპირობებული, რომ ორივე გუნდს აკლია სპარინგ-პარტნიორები, თუმცა ამით უფრო მეტად სწორედ ჭაბუკები იხეირებენ – მათ მეტად წაადგებათ რამდენიმე წლით უფროსებთან ვარჯიში. მით უფრო, რომ ახალგაზრდული ნაკრები უკვე საკმაოდ ძლიერი გვყავს.

ქუთათელაძის მაკრატელა

ქართული ფეხბურთი პროფესიულ დონეზე ვერ დაიკვეხნის ვერაფრით, თორემ მოზარდებში ტალანტები არა და არ ელევა. ერთ-ერთი მათგანია 15 წლის **ნიკა ქუთათელაძე**, ვინც დიდი წარმატებით თამაშობს ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ 16-წლამდელთა გუნდში. ნორჩი ქართველი ფორვარდი ფრანგული საფეხბურთო ლეგენდის სარეზერვო გუნდის ნამდვილ ლიდერად იქცა. ამ დღეებში მან მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა „ენტენტეს“ წინააღმდეგ, სადაც თანაგუნდელთა გამარჯვებაში ლომის წილი დადო – სამიდან ორი გოლი მან გაიტანა, მაგრამ გოლებსაც გააჩნია. ნიჭიერმა ქართველმა სწორედ გოლების სილამაზით მიიქცია ფრანგული პრესის ყურადღება. ჯერ იყო და დროულად გაერკვა ვითარებაში, რის შედეგადაც სწრაფად შეიჭრა საჯარიმოში და მარჯვენა ფლანგიდან, ლამის კუთხურის ალმიდან, ჩაწოდებულ გამჭოლ გადაცემას აკრობატულ ნახტომში დაუხვდა და მეკარე უძლური გახდა, აეღო მისი არცთუ ძლიერი, მაგრამ უზუსტესი დარტყმა. აქ ქუთათელაძემ უბურთოდ მანევრირების და პოზიციური თამაშის შესანიშავი უნარი გამოავლინა – იმდენად კარგად გაიჭრა წინ, მცველებმა ვერაფერი იაზრეს და ჩვენებური პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან.

თუმცა, მისი ტალანტის გაბრწყინება ამით არ დასრულებულა და, ცოტა ხანში, ისევ გამოავლინა მაღალი დონის ტექნიკა: პარიზელებმა ისევ მარჯვენა ფლანგიდან სცადეს ბურთის გამოტანა საჯარიმოდან, თუმცა ვერ შეძლეს, გადმოგდებულ ბურთს კი კარისკენ ზურგით მდგარი ქართველი დაუხვდა. ოღონდ ქუთათელაძეს კარისკენ შემობრუნებაზე დრო არ დაუკარგავს, „მაკრატელა“ დაარტყა და ულამაზესი გოლი გაიტანა. ეტყობა, მას ვარჯიშებზე კარგად აქვს დამუშავებული ანალოგიური კომბინაციაც და დარტყმაც, იმდენად უზადოდ შეასრულა, თუმცა ამ ეპიზოდშიც გამოავლინა პოზიციის სწორად შერჩევის უნარი – საკმადო „ხალხმრავალ“ საჯარიმოში ბურთს მხოლოდ ის დაუხვდა საჭირო დროს და საჭირო ადგილას.

პარიზელებმა ეს შეხვედრა 3:1 მოიგეს, ქუთათელაძემ კი თამაში თავიდან ბოლომდე, სრულად ჩაატარა. ახლა მის ანგარიშზე 10 შეხვედრაში გატანილი 11 გოლია. საინტერესოა, რომ მისით უკრაინული ფეხბურთის გიგანტები – კიევის „დინამო“ და დონეცკის „შახტარი“ დაინტერესდნენ, რომლებიც უკვე დაუკავშირდნენ ფეხბურთელის მამას, რომელიც ამბობს, რომ კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს. უკრაინული კლუბებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობთ, აჯობებს, ნიკა საფრანგეთში დარჩეს, სადაც ბევრად უკეთესი პირობები ექნება ზრდა-განვითარებისთვის. პირობებს იქნებ არც უკრაინულ აკადემიებში უჩივიან, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე ომი იქაურ ფეხბურთსაც დიდ ზიანს აყენებს. თან საფრანგეთი ქუთათელაძეს ევროპულ ფეხბურთში გზის გაკვლევის ბევრად მეტ შანსს მისცემს. მით უფრო, ეს ქვეყანა მისთვის უცხო აღარაა – პსჟ-ში გადასვლამდე „ლილში“ თამაშობდა.

საბა ზაზას არ ბაძავს

ვიდრე ქართული კალათბურთის უცნობილესი ვარსკვლავი, NBA-ს ყველაზე „მოკაშკაშე“ ქართველი **ზაზა ფაჩულია** ტრავმირებულ მხარს მკურნალობს და „გოლდენ სტეიტ უორიორზს“ ვერაფრით ეხმარება, პოპულარულმა ამერიკულმა პორტალმა „bleacherreport“ სახალისო ვიდეო გაავრცელა, რომლის მთავარი გმირიც მისი უფროსი ვაჟი **საბა ფაჩულიაა**. ის 7 წლისაა და, რაღა თქმა უნდა, სკოლაში კალათბურთის წრეზე დადის. სწორედ იქ ჩატარებული ერთ-ერთი შეხვედრის გამო მიიქცია მან საიტის ყურადღება, რადგან ბოლო წამზე ცენრტიდან ჩააგდო ბურთი. *„ბავშვები ხშირად ბაძავენ საკუთარ კერპებს, თუმცა ზაზა ფაჩულიას შვილი – საბა ფაჩულია ცდილობს, არ გაჰყვეს მამამისის ძალისმიერ სტილს. საბამ, მატჩის საფინალო სირენის თანხლებით, მოედნის ცენტრიდან ჩააგდო ბურთი, რითაც უფრო მეტად სტეფ კარის თვისებები გამოავლინა“* – ვკითხულობთ აღნიშნულ პორტალზე. იქვე საბას თამაშის ფოტოცაა გამოქვეყნებული, სადაც ის „გოლდენ სტეიტის“ სხვა კალათბურთელის – **დევიდ უესტის** შვილს უფარებს.

იმედია, საბა ფაჩულია ბოლომდე გაჰყვება კალათბურთს და მამაზე მეტსაც მიაღწევს. არადა, ცოტა ზაზამაც როდი მოიხვეჭა! მართალია, მან ვერ მიაღწია წარმატებას ვერც ნაკრებთან და ვერც კლუბთან, თუმცა ქართული კალათბურთის მდიდარი ისტორია კიდევ ერთი გამორჩეული ფურცელით გაამდიდრა და ამერიკულ ლიგაში მოთამაშე ყველაზე წარმატებული ქართველი კალათბურთელი გახდა. არადა, კარიერა ჯერ ისევ გრძელდება და ვინძლო, ყველაზე დიდი წარმატებაც წინ იყოს, რადგან ამერიკული ოდისეის განმავლობაში, ზაზა დღეს ყველაზე ძლიერ კლუბში თამაშობს – „გოლდენ სტეიტისთვის“ არც NBA-ს ჩემპიონობაა უცხო და დღესაც წარმატებით იბრძვის საჩემპიონო ბეჭდისთვის. ზაზაც სწორედ ამ პერსპექტივის გამო დათანხმდა იქ გადასვლას გაცილებით დაბალი ანაზღაურების საფასურად და გვარიანი წვლილიც შეაქვს სან ფრანცისკოელთა წარმატებაში. სამწუხაროდ, ის დღეისათვის ტრავმირებულია და დაშავებულ მხარს მკურნალობს, რის გამოც, დაახლოებით, ორი კვირა გაუცდება. ზაზას სარგებლიანობაზე ერთი ფაქტიც მიუთითებს: საბას ზემოაღნიშნული შეხვედრა „გოლდენ სტეიტისა“ და „საკრამენტოს“ თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გაიმართა, პაექრობა კი საკრამენტოელებმა მოიგეს. ამაში დიდი წვლილი მათმა ცენტრმა – **დემარკუს ქაზინსმა** შეიტანა 32 ქულით, არადა, ის ამ გუნდების წინა შეხვედარში ფაჩულიამ საიმედოდ „ამოკეტა“ და მაშინ „უორიორზმა“ მოიგო.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

ინფორმაცია



ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს საშუალება დაეუფლოს სასურველ პროფესიას. – ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

მინისტრმა იყალთოს აკადემია მოინახულა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ალავერდის მიტროპოლიტი დავითის მიწვევით, იყალთოს „ქვევრის სკოლა-სახელოსნო“ და იყალთოს აკადემია მოინახულა. მიტროპოლიტის ინიციატივით დაარსებული „ქვევრის სკოლა-სახელოსნო“ მიზნად ისახავს ქვევრის დამზადების ტრადიციული, უძველესი მეთოდების აღდგენა-შენარჩუნებას, ასევე სოფელ იყალთოს ისტორიულ-კულტურული და ტურისტულ-საგანმანათლებლო პოტენციალის განვითარებას.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ტრადიციული თამაშობები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის თემაზე **„ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“**.

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს და დააფიქსიროს უხუცესების მეხსიერებაში დღემდე შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი თამაშობები (როგორც ჯგუფური, ისე სამაგიდო);
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ხელი შეუწყოს ძველი ქართული თამაშობების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით, იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

საინტერესო, იშვიათი თამაშობის წარმდგენნი გადავლენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან.

ნიმუშის წარდგენის ფორმა

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;

2. მოსწავლეების მიერ აღწერილი თამაშობის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის) და თამაშის/ან მისი ფრაგმენტების/ ამსახველ ვიდეოჩანაწერს. ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს, ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად, jpg ფორმატში;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას, გადმოგზავნილს ასევე jpg ფორმატით;

4. შეძლებისდაგვარად, თამაშობის ამსახველ ვიდეოჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებულ იქნეს მობილური ტელეფონით).

სასურველია, **ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.**

სასურველია, **მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.**

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com;
- ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში;
- ან მოგვაწოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მისამართზე (თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5).

ვორდის ფაილი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერებს:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – ***თამაშის დასახელება;***
2. ავტორი – მოსწავლ/ეებ/ის *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება *(რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);*

7. ნიმუშის აღწერა

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- *რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული თამაში – მოკლე განმარტება თამაშის შესახებ;*
- *სახელწოდება (აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*
- *ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მთხრობელს აღნიშნულ თამაშში და ვისგან აქვს ნასწავლი თავად ეს თამაში;*
- *ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რამდენი მონაწილე თამაშობდა მას;*
- *აღწერეთ გარემოება, როდესაც თამაშობენ ამ კონკრეტულ ნიმუშს;*
- *რას უკავშირდებოდა აღნიშნული თამაშობა;*
- *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს თამაშის პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დააფიქსირეთ ფოტოზე);*
- *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული თამაშის დროს;*
- *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული თამაშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისთვის.*

- ***აღწერეთ თამაშის პროცესი***

სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე – ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა, საჭიროების მიხედვით.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 20 მარტი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
599 08 40 03; ან 577 27 80 02
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. მოწოდებული ვიდეოფაილების მიხედვით დამონტაჟდება ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე, გაშუქდება მედიის საშუალებით.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება **„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“** წოდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

სიახლე

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 9.90ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 30.40ლ

12 ლარი
თამაზ ვასაძე
ქართული ენის კომენტირებული ტექსტი და განმარტებები
ვეფხისტყაოსანი ტექსტი და ანალიტიკური ფრაგმენტების ავტორი თამაზ ვასაძე



10 ლარი
ფიზიკა
საატესტატო გამოცდებისთვის
ალ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი
ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი
სასკოლო კურსი
ნ. შარაშენიძე

8 ლარი
ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია
სასკოლო კურსი
ნ. შარაშენიძე

10 ლარი
თამარ ბერიოზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი
თამაზ ვასაძე
ქართული ავიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

ბიოლოგია
ერეკვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, ლ. ნაზირიშვილი
I ნაწილი – 10 ლარი
II ნაწილი – 10 ლარი



9 ლარი
ისტორია
საატესტატო გამოცდებისთვის
ნ. ახვლედელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK